წინამდებარე წერილი (შემდგომში წოდებული როგორც „წერილი“) და ვალდებულებებისა და პირობების ჩამონათვალი (შემდგომში წოდებული „პირობების ჩამონათვალი“), რომელიც თან ერთვის წინამდებარე წერილს დანართი „ა“ სახით (წინამდებარე წერილი პირობათა ჩამონათვალთან ერთად შემდგომში წოდებული იქნება, როგორც „ვალდებულებათა აღების წერილი“) წარმოადგენენ და განსაზღვრავენ პირობებს, რომლითაც OPIC იღებს ვალდებულებას გასცეს მსესხებლის სახელზე, 1961 წლის „საზღვარგარეთ დახმარების გაცემის შესახებ აქტის“ მუხლი 234 C-ს თანახმად სესხი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 18,000,000 აშშ დოლარს (შემდგომში წოდებული როგორც „კრედიტი“). OPIC – ის სურვილია გასცეს კრედიტი იმ პირობებითა და ვადებით, რომელიც შეთანხმებულია ვალდებულებათა წერილში. ამ ვალდებულებათა წერილზე ხელის მოწერით (1) მსესხებელი ადასტურებს, რომ მას სურს ისესხოს თანხა („სესხი“) კრედიტის ფარგლებში ამ დოკუმენტში მითითებული ვადებითა და პირობებით და (2) შპს „აზერკონ ჰოლდინგ“, რომელიც უშუალოდ ფლობს წილის 90 % და „AZERCON OJSC“, რომელიც უშუალოდ ფლობს მსესხებლის წილის 10 % (ერთობლივად შპს „აზერკონ ჰოლდინგ“-თან ერთად წოდებულნი, როგორც „სპონსორები“) იღებენ და თანხმდებიან ქვემოთ მოცემულ ვალდებულებებზე:

მსესხებელი აძლევს გარანტიას OPIC – ს და ყოველი სპონსორი აცხადებს და იძლევა გარანტას OPIC-ის წინაშე, როგორც მსესხებელი და როგორც თავად პირი, რომ:

ა) წინამდებარე „ვალდებულებათა წერილი“ სათანადოდ დამოწმებულია თითოეული სპონსორის და მსესხებლის მიერ და წინამდებარე ვალდებულებათა წერილი წარმოადგენს კანონიერი ძალის მქონე და შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს ამ მხარისთვის.

ბ) ყველა სახის ინფორმაცია, თარიღები, მონაცემები, ან სხვა მასალა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ან გახდება OPIC-თვის მსესხებლის, სპონსორების ან მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, არის ან იქნება ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც იქნება დასრულებული და სწორი და იგი არ შეიცავს რაიმე არასწორ მონაცემს არსებული ფაქტების შესახებ, ან არ დაფარავს

თაგოთი ქულიაძე დო

რაიმე მატერიალურ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია წინამდებარე დოკუმენტში მოცემული განცხადებების გასაკეთებლად და არ გამოააშკარავებს ისეთ ფაქტს, რომელიც დაფარული იყო აღნიშნული დოკუმენტის შედგენის დროს, და

გ) ყოველი სპონსორი და მსესხებელი და მათი წარმომადგენელი პირები, დირექტორები, თანამშრომლები და აგენტები (1) მოქმედებენ „უცხოური კორუფციის შესახებ 1977 წლის აქტის“ (გამოქვეყნებული N95-213, პარ.101-104) მასში შეტანილი ცვლილებითურთ და ყველა მოქმედ კანონის, რეგულაციის, ბრძანების, ან კანონის ძალის მქონე დირექტივის შესაბამისად, რომელიც უკავშირდება ქრთამის აღებას ან სხვა მსგავს ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულს (ერთად წოდებული, როგორც „კორუფციის შესახებ კანონმდებლობა“) შესაბამისად ნებისმიერი სახის თანხმობის, ლიცენზიის, დადასტურების, უფლებამოსილების მინიჭების, უფლებების ან პროექტებთან დაკავშირებით პრივილეგიების მინიჭების პროცესში (როგორც განსაზღვრულია „პირობათა ფურცელში“) (2) გააჩნია შიდა მენეჯმენტისა და ანგარიშების პრაქტიკა და აკონტროლებს „კორუფციის შესახებ კანონმდებლობასთან“ შესაბამისობას, და (3) მსესხებელი აწარმოებს თავის ბიზნესს „კორუფციის შესახებ კანონმდებლობის“ შესაბამისად.

მსესხებელი იღებს ვალდებულებას და თანხმდება, რომ წინამდებარე „ვალდებულებათა წერილის“ მოქმედების პერიოდში იგი იმოქმედებს „კორუფციის შესახებ კანონის“ შესაბამისად და შეინარჩუნებს შიდა მენეჯმენტისა და ანგარიშების პრაქტიკას, ასევე გააკონტროლებს და უზრუნველყოფს „კორუფციის შესახებ კანონმდებლობასთან“ შესაბამისობას.

ყველა სპონსორი და მსესხებელი ვალდებული არიან ერთად ან ცალ-ცალკე საჭიროების შემთხვევაში გადაიხადონ ყველა სახის მოსაკრებელი, რომელიც განსაზღვრულია „პირობათა ფურცლით“, რომლის გადახდაც ევალება „OPIC“-სა და მსესხებელს შორის განსაზღვრული სესხის შეთანხმების დადების დღეს, ან მანამდე და მსესხებელი განსაზღვრის აღნიშნული კრედიტის ვადებსა და პირობებს (შემდგომში წოდებული „სესხის ხელშეკრულება“).

ყოველი სპონსორი და მსესხებელი ვალდებული არიან ერთად ან ცალ-ცალკე გადაიხადონ ან OPIC-ის შეხედულებით აუნაზღაურონ OPIC-ს ან მის მიერ დადგენილ პირს მისი მოთხოვნისთანავე ყველა ხარჯი (მათ შორის მოსაკრებლები და გადასახადები საზღვარგარეთ კანონიერი მორიგებისა და კონსულტაციებისთვის) რომელსაც გაიღებს OPIC ამ „ვალდებულებათა წერილის“ გაცემასთან დაკავშირებით და ასევე სესხის ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების, საბუთებისა და დადასტურებების შეთანხმებისა და მომზადებისთვის, რომელსაც ადგილი ექნება შემდგომში და ყველა სხვა გონივრული ხარჯი, რომელიც გაღებული იქნება OPIC-ის მიერ, ასევე ამ ვალდებულებათა წერილის თანახმად განსაზღვრული ნებისმიერი თანხის მიღებისთვის გაწეული ხარჯები.

მსესხებელი და ყოველი სპონსორი (ყოველი „თავმდები პირი“) ეთობლივად და ცალ-ცალკე ვალდებული არიან ნებისმიერ დროს დაიცვან და უზრუნველყონ OPIC-ის და მისი დირექტორები, ოფიციალური პირები, თანამშრომლები და აგენტები (ყოველი მათგანი წოდებული, როგორც „უზრუნველყოფილი პირი“) ნებისმიერი ზიანისგან, დანაკარგისგან, მათ წინააღმდეგ სარჩელისგან, დაზიანებისგან, ვალდებულების დაკისრებისგან, ჯარიმისგან, სასამართლო გადაწყვეტილებისგან, ან სხვა ხარჯებისგან (მათ შორის ხარჯები, მოსაკრებლები და დანახარჯები, რომელიც გაღებულია და ეკისრება უზრუნველყოფილ პირს დაცვისთვის, ანალიზისთვის, დავის მოგვარებისთვის, ან მორიგებისთვის და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გამამართლებელი სარჩელის შეტანასთან) რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი სახე, და რომლის სუბიექტის შესაძლოა იყოს უზრუნველყოფილი პირი „ვალდებულებათა წერილთან“ ან პროექტთან დაკავშირებით (მათ შორის ნებისმიერი ფაქტობრივი, ან შეთავაზებული სესხის ამონაგების გამოყენება) ან რომელიმე ფაქტიურ ან წინასწარ განსაზღვრულ სასამართლო საქმისწარმოებასთან, ძიებასთან ან ზემოთ აღნიშნულ

თამაშ ქრისტიანული

საკითხებზე საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა უზრუნველყოფილი პირი მისი მხარე („უზრუნველყოფა“). უზრუნველყოფა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ან არბიტრაჟი, რომლის იურისდიქციაშიც შედის დანაკარგი და ყოველი უზრუნველყოფილი პირი, რომელსაც მიაღება ზიანი, გამოიტანს საბოლოო დადგენილებას იმის შესახებ, რომ ზიანი გამოწვეულ იქნა (ა) უზრუნველყოფილი პირის გაუფრთხილებელი ქმედებით ან განზრახ უმოქმედობით (ბ) OPIC-ის ბრალით, თუ ის ვერ შეძლებს რომელიმე მოქმედების შესრულებას წინამდებარე „ვალდებულებათა წერილთან დაკავშირებით“. უზრუნველყოფა არის დამოუკიდებელი და დამატებითი (1) ნებისმიერი მხარის უფლებების რაიმე სახის ზარალისთვის (2) რომელიმე სხვა ხელშეკრულებისთვის. ამ თავის თანახმად განსაზღვრული გადახდის ვალდებულების გაუქმება არ ახდენს გავლენას სხვა მუხლებით ან სხვა ხელშეკრულებებით განსაზღვრული გადახდის ვალდებულებაზე. OPIC-ს და ყოველ უზრუნველყოფილ პირს აქვთ უფლება გააკონტროლონ მისი დაცვა; იმის გათვალისწინებით, რომ ყოველმა უზრუნველყოფილმა მხარემ უნდა: ა) შეატყობინოს მსესხებელს წერილობით უმოკლეს ვადაში რაიმე სახის დანაკარგის შესახებ; ბ) შეატყობინოს მსესხებელს აღნიშნული ზიანის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. თავისი უფლების განხორციელებისას, რომელიც გულისხმობს მისი ქმედების კონტროლს დანაკარგთან დაკავშირებით, მათ შორის გადაწყვეტილება ასეთ ზარალთან დაკავშირებით მორიგებასთან დაკავშირებით, ყოველმა უზრუნველყოფილმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს უზრუნველყოფილი პირის ხასიათი და პოლიტიკა (1) გაიაროს კონსულტაცია მსესხებელთან და (2) იმოქმედოს ისე, როგორც უზრუნველყოფილი პირი იმოქმედებდა იმ შემთხვევაში, თუ მას გადაიხდიდა თავად. უზრუნველყოფილი მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ ყოველი უზრუნველყოფილი პირი არის უზრუნველყოფილი მხარის ვალდებულებების მიმღები მესამე პირი.

თუ რაიმე მიზეზით არ მოხდა სესხის ხელშეკრულების დადება და მისი გადაცემა 2015 წლის 15 დეკემბერს ან მანამდე, OPIC-ის ვალდებულებანი უნდა შეწყდეს. გარდა ამისა, მსესხებლისათვის და სპონსორებისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე OPIC-ს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი ვალდებულებანი და გამოიყენოს რაიმე უფლება და სარგებელი, რომელიც ამ დროისთვის იქნება ხელმისაწვდომი OPIC-თვის ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის დადგომისთანავე: (ა) თუ სპონსორი ან მსესხებელი ვერ შეძლებს, ან უარს განაცხადებს დროულად ყველა პირობის დაცვით მოქმედებაზე (ბ) OPIC თავისი პირადი შეხედულებით დაადგენს, რომ მატერიალურად არასასურველი სახის ცვლილებები განხორციელდა ან მოსალოდნელია მათი მოხდენა (1) მსესხებლის, სპონსორის ან პროექტის ბიზნესის, ოპერაციების, ქონების, მდგომარეობის (ფინანსური ან სხვა) ან პერსპექტივების თვალსაზრისით (2) მსესხებლის, სპონსორის, ან „American Hospital Management Company“-ის უნარი, განახორციელოს პროექტი ან შეასრულოს მისი ვალდებულებანი, აღებული ამ დოკუმენტის ან სესხის ხელშეკრულების თანახმად, ან სხვა დოკუმენტით რომელიც შედგენილია მათთან კავშირში, (3) უზრუნველყოფის საშუალების მდგომარეობასთან ან ღირებულებასთან დაკავშირებით; (გ) ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემები, ან სხვა მასალები, რომელიც წარედგინა OPIC-ს სპონსორის ან მსესხებლის მიერ შეიცავს რაიმე უზუსტობას, არასწორ ფაქტს, ან შეცდომას, რომელიც მატერიალურ ზიანს აყენებს და მნიშვნელოვანია OPIC-ს მიერ კრედიტის გაცემის გადაწყვეტილების მიღებისთვის იმ პირობებით, რომელიც განსაზღვრულია ამ დოკუმენტებში; (დ) უკანონო ხდება OPIC-ის მიერ რომელიმე ვალდებულების შესრულება, რომ გაზარდოს კრედიტი ან გასცეს ფულადი სახსრები პროექტისთვის, რომელიმე მოქმედი კანონმდებლობის ცვლილების, ინტერპრეტაციის ცვლილების ან ეფექტურობის ცვლილების, ან ახალი კანონის მიღების გამო, რომელიც მოხდება ამ „ვალდებულებათა წერილის“ შედგენის შემდგომ, (ე) OPIC თავისი პირადი გადაწყვეტილებით არ არის კმაყოფილი მისი დაწვრილებითი გამოძიების შედეგებით. აღნიშნული მიზეზების გამო მოქმედების შეწყვეტისას (გარდა (დ) ქვეპუნქტისა), მსესხებელმა ან სპონსორებმა უნდა გადაუხადონ OPIC-ს მოთხოვნისთანავე ნებისმიერი გადასახდელი, ხარჯი ან სხვა თანხა, რომელიც მას იმ დროისთვის მართებს.

თაბუა ჩუისაშვილი

განცხადებანი და გარანტიები და გადახდა, ანაზღაურება და უზრუნველყოფის მუხლები, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტში უზრუნველყოფის სესხის ხელშეკრულებას და „ვალდებულებათა წერილს“, მისი ცვლილების, გაუქმების, შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში.

OPIC-თვის ყველა თანხის გადახდა უნდა მოხდეს აშშ დოლარში საბანკო გადარიცხვის საშუალებით იმ მომენტისათვის არსებულ ფულად სახსრებში ყოველგვარი საპასუხო პრეტენზიის, დაქვითვის და საომისიოს გარეშე, აშშ ეროვნული ბანკის მეშვეობით. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული OPIC-ის მიერ, გადარიცხვები უნდა გაიგზავნოს OPIC-ის ანგარიშზე, რომელიც არის აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტში, ნიუ-იორკში „Fedwire“ გადარიცხვის ან საერთაშორისო ელექტრონული ფულადი თანხების გადარიცხვების საშუალებით და ასეთი გადაცემა უნდა მოიცავდეს საჭირო ინფორმაციას, რომელიც მოცემულია დანართი „ბ“-ში.

თუ წინამდებარე ვალდებულებათა წერილი სწორად გამოხატავს ჩვენს თანხმობას, გთხოვთ დაადასტუროთ თქვენს მიერ მისი პირობების მიღება ხელის მოწერითა და მისი OPIC-თვის დაბრუნების გზით არაუგვიანეს 2015 წლის 20 თებერვლისა. ამგავრად ხელმოწერილი ასლის დროულად მიღებისას (დედნის pdf ფორმატში, რომელსაც ასევე უნდა მოჰყვეს კურიერის გზით გამოგზავნილი დედანი) OPIC-ის მიერ, წინამდებარე ვალდებულებათა წერილი შევა ძალაში და გახდება იურიდიულად სავალდებულო თანხმობა ჩვენს შორის.

პატივისცემით,

OVERSEAS PRIVATE INVESTMENT CORPORATION

წარმომადგენელი: ქენეთ ჯ. ენჯელ /ხელმოწერილია/

თანამდებობა: ფინანსური პროექტების მმართველი დირექტორი

დადასტურებულია და ეთანხმება წინამდებარე ვალდებულებათა წერილით განსაზღვრულ პირობებს აღნიშნული თარიღისთვის:

შპს „საიალი“

წარმომადგენელი: მამედ სულეიმანოვ /ხელმოწერილია/

თანამდებობა: დირექტორი

შპს „აზერკონ ჰოლდინგ“

წარმომადგენელი

კამილ ჰუსეინოვ /ხელმოწერილია/

თანამდებობა: დირექტორი

„AZERCON OJSC“

წარმომადგენელი: ვუსალ ასლანოვ

თანამდებობა: უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერი

თამთა ჯიხიაშვილი

დანართი „ბ“

ინსტრუქციები OPIC-თვის თანხების გადახდისას ფულადი გზავნილების გადაცემისთვის

ა. „Fedwire“ ინსტრუქციები:

Fedwire ველის ტეგი	Fedwire ველის სახელწოდება	საჭირო ინფორმაცია
2000	თანხა	[ჩაწერეთ გადარიცხვის ღირებულება აშშ დოლარში] შენიშვნა: თანხა უნდა დაფორმატდეს 12 ციფრიანი სიმბოლოებით, მარჯვნიდან დაფორმატებული, რომელიც იწყება ნულებით. არ უნდა ჩაწეროთ დოლარის ნიშანი, მძიმეები ან წერტილები, მაგალითად თანხა: \$ 39,287.21 უნდა დაფორმატდეს შემდეგნაირად: 000003928721
3400	მიმღების Fedwire მარშრუტზაციის ნომერი ¹	021030004
3400	მიმღების Fedwire მოკლე სახელწოდება	US TR E AS ENYC
3600	ბიზნეს ფუნქციის კოდი	STR
4200	მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი	D
4200	მიმღების იდენტიფიკატორი (ანგარიშის ნომერი-AGENCY ALC)	71000001
4200	მიმღების სახელი	OVERSEAS PRIVATE INVESTMENT CORPORATION
5000	გამგზავნის საიდენტიფიკაციო კოდი	D
5000	გამგზავნის იდენტიფიკატორი (ბანკის ანგარიშის ნომერი)	[ჩაწერეთ გადამრიცხავი მხარის ბანკის ანგარიშის ნომერი – მაქსიმუმ 34 სიმბოლო]
5000	გამგზავნის სახელი	[ჩაწერეთ გადამრიცხავი მხარის სახელი – მაქსიმუმ 35 სიმბოლო]
6000	ორიგინატორიდან ბენეფიციარამდე ინფორმაცია – OPIC სესხის ნომერი	114-2015-959- DI
6000	ორიგინატორიდან ბენეფიციარამდე ინფორმაცია – სესხის გაცემის მიზანი	[ჩაწერეთ გადახდის ტიპი, რომელიც უნდა განხორციელდეს – მაგალითად, ძირი, პროცენტი და გადასახდელი, ან ხარჯების ანაზღაურება და ა.შ.]

¹ OPIC არის „Fedwire Funds Service“-ის წევრი აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის შესაბამისად. Fedwire მარშრუტზაციის ნომრების მოძებნისა და დადასტურებისთვის გადადით გვერდზე: <http://www.fededirectory.frb.org/>.

„ბ“ საერთაშორისო ელექტრონული ფულადი თანხების გადარიცხვები (ITS მოსაკრებლები) ²

ველის სახელწოდება	საჭირო ინფორმაცია
მიმღების ანგარიში	Federal Reserve Bank of New York (ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი)/ITS (აბრევიატურით FRBNY/ITS)
ბანკი	Citibank N.A. (New York)
SWIFT კოდი	CITIUS33
ანგარიშის ნომერი	36838868
ბანკის მისამართი	NY 10013, ნიუ იორკი, გრინვიჩის ქუჩა 388 / 388 Greenwich Street, New York, NY 10013
ანგარიში (12 სიმბოლოიანი ნომრების ველი, მარჯვენა მხრიდან განლაგებული ნულების დაწყებით ან ათეულის ნომრით: 39,287.21 \$ უნდა დაფორმატდეს როგორც 000003928721	
გადახდის დეტალები (ხაზი 70) – სავალდებულო (სააგენტოს ნომერი შესაძლებელია ჩაიწეროს აბრევიატურით – OPIC)	OVERSEAS PRIVATE INVESTMENT CORPORATION, ALC # 71000001, 114-2015-959-DI, ინვოისი # ——— accountingoperations@opic.gov
დაქვითების შესახებ ინფორმაცია (ხაზი 71-ა) სავალდებულო	ჩვენი

იებისმიერი ველი, რომელშიც შეივსება საჭირო ინფორმაცია უნდა ჩაიწეროს ისე, როგორც გადარიცხვის OPIC – ვის საბანკო გადარიცხვაში. გადახდის გამგზავნა უნდა ჩაწეროს OPIC – ს სახელი (რომელიც შესაძლოა იწეროს აბრევიატურებით ადგილის დაზოგვის მიზნით და ALC (71000001) გადახდის დეტალების სექციაში ხაზი 70) SWIFT შეტყობინება. ეს ინფორმაცია უნდა იყოს გადახდის ინსტრუქციების სექციაში ან წინააღმდეგ მთხვევაში ITS ვერ შეძლებს იმის იდენტიფიცირებას თუ რომელი სააგენტოსთვის არის განკუთვნილი დახდა. ამ საიდენტიფიკაციო გადახდის გარეშე ITS იძულებული იქნება დააბრუნოს თანხა, როგორც საიდენტიფიკირებადი ან განუსაზღვრელი. მირებული ანგარიში უნდა იყოს „ნიუ-იორკის/ITS“. ფედერალური რეზერვო ბანკის სახელით და გადახდის ორიგინატორმა უნდა ჩაწეროს მიმღების ანგარიშის უკვე აღიშნული ნაცემები. გარდა აისა, გადახდის გამომგზავნა უნდა შეავსოს კოდის ხაზი 71A (მოსაკრებლების შესახებ ფორმაცია) როგორც დაბეგრული ან დაუბეგრავი. აღნიშნულს ერიცხება საკომისიო, რომელიც დაეკისრება მომგზავნს და მათ არ შეეძლებათ მიიღონ დებიტი გადახდიდან.

თამარ ჯუღაშვილი

თავდაპირველად დარიცხული თანხის ოდენობა და სესხის დაფარვა „სესხის დაფარვის დღეს“ (მოცემულია ქვემოთ).

„ვალდებულების პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ვალდებულების წერილის“ შედგენის დღეს და სრულდება (ა) პირველ დღეს, როდესაც სესხის ოდენობა უდრის ვალდებულების ოდენობას, (ბ) 2016 წლის 30 დეკემბერს იმის გათვალისწინებით, რომ თუ არ განხორციელდა პირველი დარიცხვა ან სესხის ხელშეკრულების გაცემის დღიდან პირველი 1 წლის შესრულებამდე, ვალდებულების პერიოდი დასრულდება ამ დღეს და (გ) იმ დღეს როდესაც ვალდებულება სხვაგვარად შეწყდება.

11. სესხის პირობები და დაბრუნება: სესხი უნდა დაბრუნდეს ოცდათვრამეტ (38), დაახლოებით თანაბარ მეოთხედ ნაწილად. გადახდა უნდა დაიწყოს 21 წლის 20 აგვისტოს (პერიოდს თანხის ჩარიცხიდან აღნიშნულ დღემდე ეწოდება „საშელავათო პერიოდი“) და დასრულდება არაუგვიანეს 2026 წლის 20 ნოემბრისა „სესხის დაფარვის დღე“.

სესხის დაბრუნებული ან წინასწარ ადახდილი ნაწილი არ შეიძლება გაცემული იქნას ხელახალი სესხის სახით.

12. პროცენტი: პროცენტი უნდა გადახდილი იქნას კვარტალში ერთხელ: 20 თებერვალს, 20 მაისს, 20 აგვისტოს და 20 ნოემბერს ყოველ წელს (ყოველს ასეთ დღეს ეწოდება „გადახდის თარიღი“) არსებულ დავალიანებაზე დამატებით, გადახდის დღიდან დაწყებული, რომელიც მოსდევს პირველ დარიცხვას, ერიცხება გადაუხდელ ძირის ნაშთს, რომელიც გამოითვლება ფიქსირებული საპროცენტო წლიური განაკვეთით ყოველი დარიცხვისთვის, რომელიც უდრის OPIC-ის ფულადი თანხების ღირებულებას (რომელიც დგინდება აშშ სახაზინო პროცენტის მიხედვით სესხის ვადის შესაბამისად და როგორც შემდგომში განსაზღვრულია სესხის ხელშეკრულებაში, პლიუს სამი და სამი მეოთხედი% (3,75%) ყოველწლიურად (ასეთ თანხას ეწოდება „საპროცენტო განაკვეთი“).

13. ვადაგადაცილებაზე დარიცხული პროცენტი: თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის რომელიმე გადასახად თანხას, რომელიც მართებს OPIC-ის წინაშე ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე (რომელიც დადგენილია ქვევით), მსესხებელმა უნდა გადაუხადოს OPIC-ს ვადაგადაცილების პროცენტი, რომლის განაკვეთია (ა) შეტყობინებით განსაზღვრული თანხის 2 % (2,0%) წელიწადში შეტყობინებაში მითითებული საპროცენტო განაკვეთთან ერთად და (ბ) სხვა გადაუხდელი თანხის 2 % (2,0%) წელიწადში რომელიც აღემატება შეტყობინებაში მითითებულ ყველაზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს.

14. ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა: სესხი შესაძლოა იქნეს წინასწარ დაფარული ნებაყოფლობით, სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერ დღიდან. მინიმალური წინასწარი გადახდის ნაწილი უნდა იყოს 200,000 აშშ დოლარის ოდენობის. ნაწილობრივი წინასწარი გადახდა უნდა ეხებოდეს გადასახდელ ნაწილს სესხის დაფარვის ინვერსული თანმიმდევრობით, იმის გათვალისწინებით, რომ როდესაც რამდენიმე შეტყობინება ემთხვევა დაფარვის თარიღს, გადახდა შესაძლოა განხორციელდეს ამ შეტყობინებების პროპორციულად.

15. სავალდებულო წინასწარი შენატანი: მსესხებელმა უნდა დააბრუნოს სესხი იმ შემთხვევაში და იმ თანხით, რომლითაც (ა) მსესხებლის მიერ ფისკალური წლის განმავლობაში მიღებული ქონებისა და შემთხვევიდან გამომდინარე დაზღვევის თანხის საერთო რაოდენობა რომელიც არ იქნა გამოყენებული დაზღვეული აქტივების შეკეთებას ან შეცვლაში ას ტხმოცი (180) დღის განმავლობაში მსესხებლის მიერ მისი მიღებიდან, ან(ბ) ნებისმიერ ფისკალურ წელში დივიდენდების და / ან აქციონერთათვის აკრძალული გადახდების საერთო რაოდენობა თუ გადააჭარბებს მსესხებლის სუფთა მოგების ორმოცდაათ (50%) პროცენტს მიმდინარე ფისკალური წლისთვის.

თაბითა ჯესიკაშვილი

16. ვალდებულების გადასახადი: ვალდებულების გადასახადი უდრის ერთ მეორედ პროცენტს (0,5 %) წელიწადში ბალდებულების გაუცემელ და გაუუქმებელ თანხაზე, რომელიც ერიცხება ყოველდღიურ საფუძველზე სესხის ხელშეკრულების დადების დღიდან ად რომელიც უნდა გადაეხადოს OPIC-ს დავალიანებისთვის ყოველი გადახდის დღისათვის და ვალდებულების მოქმედების პერიოდის ბოლო დღეს.

17. გაუქმების გადასახადი: მსესხებელს შეუძლია გააუქმოს გაუცემელი სესხის ნებისმიერი ნაწილი ნებისმიერ დროს უფასოდ. ვალდებულების რომელიმე ნაწილი, რომელიც არ იქნა გადახდილი ვალდებულების პერიოდის ბოლომდე ან შეწყვეტილ იქნა რაიმე მიზეზით, უნდა ჩაიტვალოს გაუქმებულად.

18. ობიექტის საფასური: ობიექტის მოსაკრებელი არის მოსაკრებელი, რომლის ოდენობაა 180,000 (საკომისიო) აშშ დოლარი, რომელიც უნდა გადაეხადოს OPIC-ს სესხის დარიცხვის დღეს ან მანამდე.

19. შენარჩუნების გადასახადი: მსესხებელმა უნდა გადაუხადოს OPIC-ს შენარჩუნების გადასახადი რომლის ოდენობაა 20 000 აშშ დოლარი, რომელიც უნდა გადახდილ იქნას გადახდის დღიდან პირველი ერთი წლის გასვლის შემდეგ და ყოველ მომდევნო 1 წლის შემდეგ იმ ვადით რა ვადითაც სესხის გაუცემელი ნაწილი იქნება სენახული.

20. ცვლილებების მოსაკრებელი: იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი მოთხოვს სესხის ხელშეკრულების შეცვლას ან მასზე უარის თქმას, OPIC გაითვალისწინებს და მიიღებს ამ ცვლილებას ან უფლებაზე უარის თქმას მსესხებელის მიერ გადახდით ამ მოთხოვნის დაყენებისას, რომელსაც განსაზღვრავს თავად OPIC ამ ცვლილების ანუფლებაზე უარის დროისა და კომპლექსურობაზე დაყრდნობით („ცვლილების მოსაკრებელი“)იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილების მოსაკრებელი არ იქნება გადასახდელი, თუ ცვლილება ანუფლებაზე უარის თქმა საჭიროა: (ა) რაიმე ფინანსურ დოკუმენტში შეცდომის გასწორების მიზნით ან (ბ) OPIC-ის გადაწყვეტილებით პროექტის ოპერაციების გაუმჯობესების მიზნით რაც არ შეცვლის მატერიალურად OPIC-ის მიერ აღებულ რისკებს. OPIC-ს არ აქვს ვალდებულება განაცხადს თანხმობა ცვლილებაზე ან თანხმობაზე უარის თქმა.

OPIC-ს შეუძლია მოითხოვოს ცვლილების გადასახდი რაიმე სახის რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებით. ან წინასწარ გადახდის მოთხოვნისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით OPIC-ს მიერ.

21. გადასახადებით დაბეგვრა: ყველა თანხა რომელიც უნდა გადაიხადოს მსესხებელმა სესხის ხელშეკრულების ან სხვა ფინანსური დოკუმენტის თანახმად, უნდა იქნეს გადახდილი სრულად, რაიმე დაქვითვის, ან დაკავების ან დაბეგვრის გარეშე.

22. ხარჯების გადახდა ან ანაზღაურება: OPIC-მა შესაძლოა დაიქირაოს კონსულტანტები საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის აშშ და ადგილობრივი იურიდიული მრჩეველი ნებისმიერ დროს მანამ, სანამ სესხი სრულიად დაიფარება. მსესხებელი გადაიხდის ან აუნაზღაურებს თანხას OPIC-ს, რომელსაც იგი გაიღებს დანახარჯების სახით, მათ შორის მოსაკრებლებსა და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია OPIC-ის ბიზნეს კონსულტანტიასა და იურიდიული მრჩეველის მიერ ფინანსური დოკუმენტების და სხვა დოკუმენტების, საბუთების, დადასტურებების შეთანხმებაში, მომზადებაში, შედგენაში, წარდგენაში სანოტარო წესით დამოწმებასა და რეგისტრაციისთვის და სმათი განხორციელებისთვის. მსესხებელმა ასევე უნა აუნაზღაუროს OPIC-ს მოთხოვნისთანავე ყველა დანახარჯი (მათ შორის ადვოკატის დანახარჯები და მგზავრობის დანახარჯები), რომელიც გაწეულია OPIC-ის მიერ (ა) რომელიმე ფინანსური დოკუმენტის ძალაში დარჩენის ან განხორციელების და (ბ) ასევე ცვლილების მოსაკრებელზე დამატებითად რაიმე ფინანსური დოკუმენტის რაიმე სახით ცვლილებასთან, ან მასზე უარის მასთან დაკავშირებით.

თაბთა ჯუჯუაძე

23. ორმხრივი უზრუნველყოფა და მნიშვნელოვანი დოკუმენტები: OPIC-ის წინაშე მსესხებლის ვალდებულებანი უნდა უზრუნველყოფილი იქნას ორმხრივი შეთანხმებით OPIC-თან შესაბამისი დოკუმენტების თანახმად, მათ შორის შემდეგი დოკუმენტების („უზრუნველყოფის დოკუმენტები“):

ა) მოქმედი, პირველი პრიორიტეტის, სრულყოფილი უსაფრთხოების ინტერესი მსესხებლის ყველა აქტივებზე, რომელიც შეძენილია დღემდე ან მომავალში, მატერიალური და არამატერიალური სახით, მათ შორის ყველა ანგარიში, უძრავი ქონება და უფლებები საპროექტო შეთანხმებებზე.

ბ) ყველა მსესხებლის სააქციო პროცენტის გირავნობა,

გ) მმართველობის ხელშეკრულების ორმხრივი გადაცემა,

დ) სავალო რეზერვის ანგარიში („DSRA“) რომელიც უნდა დაფუძნდეს ფინანსურ ინსტიტუტში და OPIC-ის მიერ მისაღებ იურისდიქციაში, რომელიც უნდა ფინანსდებოდეს არანაკლებ სესხის თანხისა (ძირი, პროცენტი ა მოსაკრებლები), რომელიც უნდა გადაიხადოს სესხისთვის მომავალი ექვსი თვის განმავლობაში.

ე) სპონსორის მხარდაჭერის თანხმობა გარანტიებით, რომელიც მისაღები იქნება OPIC-თვის, რომლის თანახმადაც გარანტორი წარმოადგენს სხვასთან ერთად სრულ, სასესხო პერიოდის შესაბამის გარანტიას სესხის დაბრუნებაზე („სპონსორის მხარდაჭერის ხელშეკრულება“) და

ვ) დაზღვევის თანხების გადაცემა OPIC-თვის.

დამატებითი საპროექტო ხელშეკრულებები, რომელიც აკმაყოფილებს OPIC-ს შეიძლება იქნას მოთხოვნილი პროექტის განხორციელებისთვის მათ შორის შემდეგი („საპროექტო დოკუმენტები“):

პროექტისთვის გამოსაყენებელ მიწაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი,

ლონისძიება, რომელიც გაარდება მენეჯერის მიერ OPIC -ის სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც მენეჯერი თანხმდება, რომ განახორციელებს საავადმყოფოს მართვას გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, მუსათა უფლებების და სხვა სტანდარტების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია OPIC-ის მიერ,

პროექტის ტექნიკურ მომსაურებასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება აჭარბებს 100 000 აშშ დოლარს.

ყველა კონტრაქტი, რომელიც უკავშირდება პროექტის შემუშავებასა და მშენებლობას აჭარბებს 100 აშშ დოლარს

ყველა ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია პროექტისთვის აღჭურვილობის შესყიდვას და მშენებლობას აჭარბებს 100000 აშშ დოლარს,

ყველა სხვა ხელშეკრულება, რომელიც უკავშირდება პროექტს, რომელიც აჭარბებს 100000 დოლარს

დოკუმენტაცია: სესხის ვადები და პირობები უნდა განსაზღვრულ იქნას ორრეტულ სესხის ხელშეკრულებაში, რომელიც დადება OPIC-სა და მსესხებელს შორის („სესხის ხელშეკრულება“), რომელიც უზრუნველყოფის დოკუმენტებთან ერთად, საპროექტო დოკუმენტებთან ერთად და სხვა დოკუმენტებთან, დოკუმენტებთან ერთად მოხსენებული იქნება, როგორც („ფინანსური დოკუმენტაცია“) ეს დოკუმენტაცია მოითხოვს შემდეგ მნიშვნელოვან მუხლებს:

დასრულდა

ა) აშშ სასამართლოების იურისდიქციის წინაშე წარდგენა სათანადო წესით და აგენტის დანიშვნა, რომელიც ახორციელებს პროცედურულ მომსახურებას,

ბ) აშშ კანონის არჩევა იმგვარად, რომ სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონი იყოს იგი სესხის ხელსეკრულების, ვალის მომსახურების რეზერვის შესახებ შეთანხმების, სპონსორის მხარდაჭერის თანხმობისათვის და ადგილობრივი ნიუ-იორკის კანონი ან ადგილობრივი კანონმდებლობა, თუ OPIC-ი ჩათვლის საჭიროდ იყოს სხვა უზრუნველყოფის დოკუმენტაციისა და საპროექტო დოკუმენტაციის მარეგულირებელი კანონი

გ) სესხების მიერ OPIC-ის მოვალის და მისი დირექტორების („უზრუნველყოფი პირების“) უზრუნველყოფა (1) რაიმე სახის დანაკარგის, პრეტენზიის, ზიანის, ვალდებულებების, ჯარიმების, ან სხვა გადასახდელებისთვის, რომელიც უკავშირდება სესხს, სესხის ხელშეკრულებას, სხვა საფინანსო დოკუმენტებს, პროექტს, ვალდებულებებს, ან საქმის წარმოებისგან, რომლის სუბიექტიც შესაძლოა იყოს უზრუნველყოფილი პირი („დანაკარგები“) და (2) ზოგიერთი და ყველა პრეტენზიისგან, გამოძიებისგან ან საქმის წარმოებისგან რაც უკავშირდება რაიმე სახის დანაკარგს იმისდა მიუხედავად არის თუ არა რომელიმე უზრუნველყოფილი პირი მისი მხარე და ზოგიერთი ან ყველა ხარჯისგან და დანახარჯისგან რომელსაც გაიღებს უზრუნველყოფილი მხარე დანაკარგების დაცვისას, ანალიზისას, მოგვარებისას ან მორიგებისას („დაცვის ხარჯები“) იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ან არბიტრაჟი გამოიტანს საბოლოო დადგენილებას იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია დაცვის ხარჯები. (ა) უზრუნველყოფილი პირის გაუფრთხილებლობა ან განზრახ უმოქმედობა ან (ბ) OPIC-ის მიერ რაიმე ქმედების შეუსრულებლობა რაც უკავშირდება სესხს.

25. პირობები, რომლებიც არსებობს სესხის თავდაპირველად დარიცხვისას:

პირობები, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი ბუნების ტრანზაქციისთვის, მათ შორის:

ა) OPIC-მა უნდა ჩაატაროს მსესხებლის, აქციონერების, გარანტორების, მენეჯერის და პროექტის და მასთან დაკავშირებული საკითხების ექსპერტიზა და ამ კვლევის შედეგები უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი OPIC-თვის.

ბ) საბოლოო ფინანსური დოკუმენტების შედგენა და გადაცემა OPIC-თვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით.

გ) ყველა საჭირო სახემწიფო და მესამე პირისგან გაცემული ნებართვა, ლიცენზია და თანხმობა პროექტისთვის უნდა იქნას მიღებული და უნდა იყოს მოქმედი;

დ) აქციონერთა მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანები უნდა განხორციელდეს პროპორციულად სესხთან მიმართებაში მსესხებელსა და OPIC-ს შორის შეთანხმებული ფინანსური გეგმის მიხედვით და აღნიშნული შენატანები უნდა იქნას შეთანხმებული OPIC-თან.

ე) OPIC-ს უნდა ჰქონდეს მიღებული დამაკმაყოფილებელი ფინანსური პროგნოზები პროექტთან დაკავშირებით 2027 წლისთვის, მომზადებული ინგლისურ ენაზე IFRS შესაბამისად.

ვ) პროექტის სამშენებლო ფაზისთვის მსესხებელს უნდა ჰქონდეს შემუშავებული და OPIC-ს უნდა ჰქონდეს დამტკიცებული ობიექტისთვის დამახასიათებელი სიცოცხლის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი გეგმა („HSE გეგმა“), რომელიც უნდა მოიცავდეს:

(1) პროცედურებს, რომლებიც ეხება: ინციდენტის გამოძიებასა და ანგარიშგებას; სამუშაოსთან დაკავშირებულ ავადმყოფობებს, პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენებას, ხანძრის პრევენციის და რეაგირებას, პირველად დახმარებას, ავტომანქანებისა და აღჭურვილობის

თბილისი, 2024 წლის 15 აპრილი

მართვას, ამწეების მართვას, უსაფრთხოების რეაგირებას, ზოგადი უსაფრთხოების წესებს, უსაფრთხოების წვრთნას და ობიექტზე უცხო პირთა შესვლის აკრძალვას პროცედურებთან დაკავშირებით.

- (2) საზოგადოების საჩივრების მექანიზმს;
- (3) საზოგადოების ჩართულობის პროგრამას;
- (4) საგზაო მოძრაობის, ხმაურის და მტვრის მართვის პროცედურებს;

ზ) OPIC-ს უნდა ჰქონდეს მიღებული დამაკმაყოფილებელი დადასტურება იმისა, რომ მპროექტის ობიექტი არ არის განთავსებული ჭალის ტერასაზე;

თ) OPIC-ს უნდა ჰქონდეს მიღებული და მიჩნეული დამაკმაყოფილებლად მშენებლობის ფაზის მომუშავეთა საჩივრების განახლებული მექანიზმი, რომელიც ემთხვევა და შეესაბამება „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მუშაობის სტანდარტების“ (იანვარი 2012) სახელმძღვანელო წესებს („IFC შესრულების სტანდარტი“) და მოიცავს:

- (1) ავტონომიური არხი ყველა მომუშავესთვის საჩივრების წარდგენისათვის სამუშაოსთან დაკავშირებით და/ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
 - (2) შეტყობინების პროცედურა, რომლის თანახმადაც ყველა მომუშავე მათი დაქირავების მომენტში უნდა იქნას ინფორმირებული საჩივრების წარდგენის მექანიზმის შესახებ (ან, თუ უკვე დაქირავებულია, სესხის დარიცხვის მომენტამდე) და მისი მოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია უნდა იყოს მათთვის ხელმისაწვდომი;
- მაგ. უნდა შედიოდეს სამუშაო დოკუმენტაციაში ან თან ერთვის საბჭოს შეტყობინებებს;

ი) OPIC-ს უნდა ჰქონდეს მიღებული პროექტის კონტრაქტორისა და პროექტის ქვე-კონტრაქტორის განახლებული თანხმობები, რაც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს, მშრომელთა უფლებების დაცვის მოთხოვნებს (მოცემულია ქვემოთ), და „IFC შესრულების სტანდარტ 2“-ს, რომელთაგან ერთეული უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი OPIC-თვის;

OPIC-ს უნდა ჰქონდეს მიღებული დამაკმაყოფილებელი იურიდიული რჩევები OPIC-ის გილობრივი მრჩეველებისგან, მსესხებლის ადგილობრივი მრჩეველებისგან და მსესხებლის აშშ მრჩეველებისგან;

მსესხებელს უნდა ჰქონდეს მიღებული D-U-N-S ® ნომერი, გაცემული „Dun & Bradstreet, Inc.“ და წარმოდგინოს აღნიშნული ნომერი OPIC-ს წერილობითი ფორმით და მსესხებელმა უნდა მოუდგინოს OPIC-ს (ა) მისი აშშ გადასახადის გადამხდელის ნომერი ან (ბ) იმის ახსნა-განმარტება, რატომ არ აქვს ან არ სჭირდება მას აშშ გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

მსესხებელმა და გარანტორებმა უნდა დანიშნონ აგენტი მომსახურების საქმისწარმოებისთვის მის დაფარვის თარიღამდე და დამატებით ექვსი (6) თვის ვადით და გადაუხადონ ამ აგენტს სახურების საფასური სრულად.

ყველა უზრუნველყოფის დოკუმენტი უნდა იყოს სათანადოდ შევსებული და რეგისტრირებული ან რილი იმ იურისდიქციის ქვეში, სადაც კანონით მოითხოვება რეგისტრაცია და აღრიცხვა კანონით დადგენილი რეგისტრირებულია OPIC-ის სასარგებლოდ აღებული ყველა გირავნობა და იპოთეკა.

OPIC-მა უნდა მიიღოს ანგარიში პროექტის შესახებ დამოუკიდებელი ინჟინერისგან, რომელსაც ექვსი თვითონ;

თავისუფალი

პ) OPIC-მა უნდა მიიღოს პროექტისთვის გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთის შეფასება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მას.

ჟ) უნდა დაფუძნებულ იქნას DSRA და დაფინანსდეს საჭირო ოდენობის თანხით;

რ) OPIC-მა უნდა მიიღოს საჭირო სერტიფიკატები, თანხმობები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა ამ სახის ტრანზაქციების განხორციელებისათვის, მათ შორის მსესხებლის მიერ შესრულებული ნებისმიერი დოკუმენტის ინგლისურ ენაზე თარგმნილი ვერსიები, რომელიც საჭირო გახდება.

მსგავსი ბუნების ტრანზაქციების დამახასიათებელი პირობები, მათ შორის:

ა) ყველა განცხადება და გარანტია სესხის ხელშეკრულების შესაბამისად უნდა იყოს ნამდვილი და სწორი;

ბ) დაუშვებელია სესხის დარიცხვისას ან მის შემდეგ არსებობდეს შეუსრულებელი ვალდებულებანი;

გ) მართვის ხელშეკრულება სრულად ძალაში რჩება რაიმე ცვლილების გარეშე გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს OPIC-ის წერილობითი თანხმობა;

დ) არ უნდა არსებობდეს რაიმე მოვლენა, რომელმაც OPIC-ის გონივრული განსჯით შესაძლოა არსებითი ავლენა მოახდინოს მსესხებლის, აქციონერის, გარანტორის, მენეჯერის, პროექტის ან სხვა პირის (1) პროექტზე, (2) ბიზნესზე, ოპერაციებზე, ქონებაზე, მდგომარეობაზე (ფინანსურ ან სხვა სახის), რომლის უწყვეტი სიცოცხლისუნარიანობა მისი გარანტიის ან სხვა ვალდებულება არის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტისთვის; (3) მსესხებლის ან სხვა მხარის შესაძლებლობა, განხორციელოს პროექტი ან შეასრულოს შესაბამისი ვალდებულებანი ფინანსური დოკუმენტების შესაბამისად; (4) ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის მატერიალური უზრუნველყოფის კანონიერება ან ძალაში შესვლა, (5) ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის თანახმად OPIC-ის უფლებები და საშუალებები; (6) გირავნობები, რომლებიც დადებულია OPIC-ის სასარგებლოდ „უზრუნველყოფის დოკუმენტების“ თანახმად;

ე) აქციონერთა მიერ გაცემებული საწესდებო შენატანები უნდა განხორციელდეს პროპორციულად სესხთან დაკავშირებით იმ ფინანსური გეგმის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია მსესხებლისა და OPIC-ს შორის, და აღნიშნული შენატანები უნდა დაზუსტებულ იქნას OPIC-ის სასარგებლოდ.

ვ) ოპიკმა უნდა მიიღოს პროექტის შესახებ ანგარიში, რომელიც იქნება დამაკმაყოფილებელი OPIC-თვის და მომზადებულ იქნება დამოუკიდებელი ინჟინერის მიერ, რომელიც მისაღებია OPIC-ის მიერ.

ზ) ყველა მოსაკრებელი და ხარჯი, რომელიც უნდა გადაიხადოს მსესხებელმა, უნდა გადახდილ იქნას სრულად.

თ) უნდა დაფუძნებულ იქნას DSRA და დაფინანსდეს მოთხოვნის შესაბამისად დაწესებული თანხით;

ი) DSRA უნდა დაფუძნდეს საჭირო რაოდენობის თანხით;

კ) OPIC-მა უნდა მიიღოს ისეთი სერტიფიკატები, თანხმობები და დოკუმენტები, მათ შორის მსესხებლის მიერ შედგენილი დოკუმენტების ინგლისური თარგმანები.

27. პირველადი ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები და სხვა შეთანხმებები:

თაბისი ქსნაშ-ლო

მსესხებელი უნდა აკმაყოფილებდეს იმ შეთანხმებებს, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი ბუნების ტრანზაქციებისთვის, მათ შორის:

- ა) ყოველი ფისკალური კვარტლის დასრულებიდან 60 დღის განმავლობაში წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშები, მომზადებული ინგლისურ ენაზე IFRS-ის შესაბამისად;
 - ბ) ყოველი ფისკალური წელიწადის დასრულებიდან 120 დღის განმავლობაში წარმოადგინოს აუდიტორის ფისკალური დასკვნა, მომზადებული ინგლისურ ენაზე IFRS-ის შესაბამისად;
 - გ) ყოველი ფისკალური კვარტლის დასრულებიდან 45 დღის განმავლობაში, საპროექტო ოპერაციების დაწყებამდე, წარმოადგინოს მიმდინარეობის შესახებ ანგარიში, მომზადებული ინგლისურ ენაზე;
 - დ) ყოველი ფისკალური წლის დასრულებიდან 45 დღის განმავლობაში წარმოადგინოს ანგარიში, რომელიც მოკლედ მიმოიხილავს ყველა დაკავშირებული პირის ტრანზაქციებს წინა ფისკალური კვარტლის განმავლობაში, რომელიც მომზადებული იქნება ინგლისურ ენაზე;
 - ე) ფისკალური წლის დაწყებამდე 30 დღის განმავლობაში წარმოადგინოს ყოველწლიური სამუშაო ბიუჯეტი მსესხებლისთვის, რომელიც მომზადებული იქნება ინგლისურ ენაზე;
 - ვ) ყოველი წლის არა უგვიანეს 30 ივნისისა პროექტის დაწყების შემდეგ წარმოადგინოს დასრულებული თვით-შეფასების კითხვარი;
 - ზ) უზრუნველყოს, რომ არ არსებობს რაიმე გირაო მსესხებლის აქტივებზე და არ არსებობს რაიმე დავალიანება;
 - თ) უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდეს აქციონერთათვის ფულადი თანხების გადახდა ან მსგავსი მოქმედება მანამ, სანამ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არ შესრულდება: (1) არა ნაკლებ ექვსი (6) გეგმიური ძირითადი თანხის გადახდა OPIC-თვის პროექტის ფარგლებში დაგროვილი ფულადი თანხიდან; (2) არ მომხდარა ვალდებულების შეუსრულებლობა და არ არსებობს ან იარსებებს მომავალში აღნიშნული გადახდის შედეგად; (3) ქვემოთ მოცემული ფინანსური კოეფიციენტები უნდა დაკმაყოფილდეს აღნიშნული გადახდების დაკმაყოფილების შემდეგ;
 - კ) უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდეს რაიმე ცვლილება მსესხებლის მფლობელობაში არსებულ კონტროლში;
 - ლ) უზრუნველყოს, რომ მსესხებელი, მისი მფლობელები, მისი დირექტორები და მისი უმაღლესი მმართველი პირები არ არიან „სპეციალურად აღნიშნული პირების“ და „დაბლოკილი პირების“ სიებში, რომელიც შედგენილია აშშ უცხოური აქტივების კონტროლის სახაზინო სამსახურის დეპარტამენტის მიერ.
 - მ) ითანამშრომლოს OPIC-თან იმ შემთხვევაში თუ OPIC აირჩევს, რომ მისი ხარჯებით განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლება, გადასცეს მესამე მხარეს სესხის მონიტორინგთან, მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი („აქტივების მართვა“), რომელმაც უნდა იმოქმედოს, როგორც OPIC-ის („აქტივების მმართველი“) წარმომადგენელმა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ნებისმიერი აქტივების მმართველი მოითხოვს აღნიშნულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით.
- ფინანსური და ფინანსური თანაფარდობის ვალდებულებანი, რომლებსაც აწარმოებს მსესხებელი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგისათვის, მათ შორის:

დაბალი ხარისხის

ა) სავალო/საწესდებო პროპორციულობის შენარჩუნება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1.6-1-ზე, რომელიც გამოითვლება კვარტალურად, კვარტლის დასრულების დასაწყისისთვის „საშეღვათო პერიოდის“ დასრულებისთანავე.

ბ) არსებული აქტივების არსებული ვალდებულებების შესაბამისად შენარჩუნებისათვის არა ნაკლებ 1.1-1-ზე პროპორციით კვარტლის დასრულების დასაწყისისთვის „საშეღვათო პერიოდის“ დასრულებისთანავე.

გ) „საშეღვათო პერიოდის“ დასრულებისთანავე ყოველი ფულადი თანხის შემოღინების პროპორციის შენარჩუნება ყველაზე ბოლოს დასრულებული ოთხი (4) მიყოლებითი სრული ფისკალური კვარტლისთვის; ადებული, როგორც ერთი საანგარიშო პერიოდი, ვალის საკომისიოსათვის ყველაზე ბოლოს დასრულებული ოთხი (4) მიყოლებითი სრული ფისკალური კვარტლისთვის; ადებული, როგორც ერთი საანგარიშო პერიოდისათვის 1.4-1-ზე;

დ) DSRA -ში სარეზერვო მოთხოვნების შენარჩუნება ყოველ ჯერზე, თანხის ძირის, პროცენტის და მოსაკრებლების, შემდგომი ექვსი თვის განმავლობაში.

ე) შეინარჩუნოს სარეზერვო თანხები MA შესაბამისად;

მოტხოვნები მსესხებლის OPIC-ის პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგისათვის, მათ შორის:

ა) „კორუფციის შესახებ კანონი“: მსესხებელმა უნდა იმოქმედოს აღნიშნული კანონის შესაბამისად, როგორც მოცემულია ქვემოთ და განახორციელოს შიდა მენეჯმენტისა და ანგარიშების საქმიანობა და კონტროლი, რომელიც შეესაბამება აღნიშნულ კანონთან შესაბამისობას;

ბ) გარემოს დაცვის კანონმდებლობა: მსესხებელი უნდა მოქმედებდეს (1) და უნდა წარმართოს თავისი პოლიტიკის, ოპერაციები, აქტივები, აღჭურვილობა, ქონება, იჯარით აღებული ქონება და სხვა საშუალებანი მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების, OPIC-ის გარემოსდაცვითი პოლიტიკის და სხვა პირობებისა და ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია სესხის ელშეკრულებაში, (2) ჰქონდეს ყველა საჭირო ნებართვა გარემოს, ჯანმრთელობის დაცვის ან უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და (3) შეასრულოს შემდეგი პირობები:

მსესხებელმა უნდა აწარმოოს საპროექტო მშენებლობანი და საპროექტო საქმიანობები შემდეგი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად: (1) IFC საქმიანობის სტანდარტები, (2) „საერთაშორისო ფინანსო კორპორაციათა გარემოს, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო წესები ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის“ (აპრილი 2007) და (3) შემდეგი „საერთაშორისო ფინანსო კორპორაციათა გარემოს, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო წესების“ (აპრილი 2007) მოქმედი მუხლები:

• გარემოს დაცვა;

1.1. ჰაერის დაბინძურება;

1.2. ენერგიის გადამუშავება;

1.3. კანალიზაციის და გარემოში არსებული წყლების ხარისხი;

1.4. წყლის გადამუშავება;

1.5. ნაგვის მენეჯმენტი;

1.6. ხმაური;

• როფესიასთან დაკავშირებული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

2.1. ზოგადი ობიექტების დიზაინი და მუშაობა;

თბილისი ქვემო ქართლი

- 2.2. კომუნიკაცია და გადამზადება;
- 2.3. ბიოლოგიური საფრთხეები;
- 2.4. რადიოლოგიური საფრთხეები;
- 2.5. პერსონალის დამცავი აღჭურვილობა;
- 2.6. მონიტორინგი;

3.0. საზოგადოების ჯანდაცვა და უსაფრთხოება;

- 3.1. წყლის ხარისხი და უსაფრთხოება;
- 3.2. საპროექტო ინფრასტრუქტურის სტრუქტურული უსაფრთხოება;
- 3.3. სიცოცხლის უსაფრთხოება და ხანძრის პრევენცია;
- 3.4. საგზაო უსაფრთხოება;
- 3.5. საშიში მასალების ტრანსპორტირება;
- 3.6. უბედური შემთხვევების პრევენცია;
- 3.7. საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა და მათზე რეაგირება;

4.0. მშენებლობა და ექსპლუატაციიდან ამოღება;

ბ) მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მენეჯერმა უნდა დაუბრუნოს ყველა გადაგასული მედიკამენტი მწარმოებელს განადგურებისათვის.

გ) მსესხებელმა უნდა მიიღოს OPIC-თვის მისაღები მესამე პირის საავადმყოფოს აკრედიტაცია საავადმყოფოს ამოქმედების დაწყებიდან არა უგვიანეს ორი წლის ვადაში და უნდა შეინარჩუნოს აღნიშნული აკრედიტაცია ან სხვა აკრედიტაციები, რაც მისაღებია OPIC მიერ მისი შეხედულებიდან გამომდინარე სესხის სრულად დაბრუნებამდე;

დ) დაუშვებელია საპროექტო სამუშაოებში ვერცხლისწყლის შემცველი მასზე მომუშავე სამედიცინო მოწყობილობების გამოყენება;

ე) მსესხებელმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ოპერაციების ფაზის საჩივრების წარდგენის პროცედურა, რომელიც იქნება მისაღები OPIC-თვის.

პაციენტების მიღებამდე ან საავადმყოფოს სხვაგვარად საჯარო გახსნამდე;

ვ) მსესხებელმა დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს OPIC-ს და არა უგვიანეს 48 საათისა მას შემდეგ, რაც სათანადო გულისხმიერებისა და სიფრთხილით მოქმედების მიუხედავად ცნობილი გახდება რაიმე შემთხვევის შესახებ, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის დაზიანება ან რასაც სავარაუდოდ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა გარემოზე. აღნიშნული შემთხვევის დადგომიდან 30 დღის განმავლობაში მსესხებელმა უნდა წარუდგინოს OPIC-ს მოკლე ანგარიში მის შესახებ. ყველა ანგარიში უნდა გაიგზავნოს ელექტრონული მისამართზე: eia@opic.gov და ამოზეჭდილი ასლი OPIC-ის ირექტორს, გარემოს დაცვის საკითხებში, მისამართზე: აშშ, 20527, ვაშინგტონ დ.ს. ნიუ იორკ ავენიუ 00;

მომუშავეთა უფლებები: მსესხებელი ვალდებულია (1) არ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც დაუდასტურებელია (წესდებით განსაზღვრული) კანონით მინიჭებული ასოცირების უფლებას და გაერთიანებისა და გარიგებაში შესვლის უფლებას; (2) შესარულოს მოქმედი კანონმდებლობის დონეები, რაც უკავშირდება ბავშვთა დასაქმების მინიმალურ ასაკს, მინიმალური ანაზღაურების, სასაღამუო დროის და პროფესიასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს; (3) არ გამოიყენოს იძულებითი ან ძალდატანებითი შრომა; მათ შორის და არა მხოლოდ, არამედ სახის მონობა, სავალო კაბალა ან ბატონყმობა; (4) აუხსნა, გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც ეხება სამუშაო წესებსა და პირობებს, მათ შორის

ხელფასის მიღების უფლებას და ნებისმიერ შემოსავალს (ა) სესხის ხელშეკრულების დღიდან 30 დღის შემდეგ ან (ბ) როდესაც თითოეული მომუშავე დაიწყებს მუშაობას; (5) არ დაიქირაოს ოფიციალურად ან არაოფიციალურად 15 წლის ქვემოთ ასაკის პირები ზოგადი სამუშაოს და 18 წელზე ქვევით ასაკის პირები საშიში საქმიანობის განხორციელებისთვის, ან ისეთი სამუშაოს შესრულებისთვის, რომელმაც შესაძლოა ავნოს ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან მათ ფსიქიკას; (6) წარმართოს პროექტი იმ სახით, რომელიც შეესაბამება „IFC საქმიანობის სტანდარტი 2“ სამუშაო პირობებში; (7) მომუშავეებთან დაკავშირებით არ განახორციელოს რაიმე ქმედება, ან არ ჩაერიოს სხვაგვარად, არ დასაჯოს და არ აიძულოს გაერთიანების, ორგანიზაციაში ჩაბმის ან კოლექტიური მოქმედების საფუძველზე მომუშავეს საქმიანობის შეწყვეტის, შეჩერების, შავ სიაში შეყვანის ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გზით; (8) არ მოსთხოვოს საათობრივი ანაზღაურების მომუშავე იმუშაოს 48 სტანდარტულ საათზე მეტი კვირაში და უზრუნველყოს, რომ ყველა მომუშავესთვის უნდა იყოს გარანტირებული კვირაში 24 საათიანი დასვენება; (9) გადაიხადოს ხელფასები, მათ შორის ყოველგვარი კანონით მინიჭებული ბონუსური ანაზღაურება და პრემია დამატებითი დროით მუშაობისთვის სრულად და დროულად გარდა იმ მუშებისა, რომელთადაც აქვს დადებული სხვაგვარი შეთანხმება; (10) უზრუნველყოს, რომ მუშებს ჰქონდეთ უფლება, თავი აარიდონ საშიში სიტუაციებს მათი დასაქმებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე; (11) განახორციელოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოცემულია ცხრილი 1-ში და (12) მოსთხოვოს ყოველ საპროექტო კონტრაქტორს (ქვემოთ ჩამოთვლილს), მასთან და მის პროექტთან დაკავშირებით, ასევე ქვე-კონტრაქტორებს (ქვემოთ ჩამოთვლილს), შეასრულონ ქვემოთ მოცემული მოთხოვნები; იმის გათვალისწინებით, რომ თუ რომელიმე მოქმედი კანონმდებლობა ან ერთობლივი საპროექტო კონტრაქტორს და საპროექტო ქვე-კონტრაქტორს, შეასრულოს ასეთი მოქმედი კანონმდებლობა ან ერთობლივი გარიდების შეთანხმება (ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა წოდებული, როგორც „მომუშავეთა უფლებების შესახებ მოთხოვნები“).

დ) იმ შემთხვევაში, თუ „მომუშავეთა უფლებების შესახებ მოთხოვნების“ შეუსრულებლობასთან ან პოტენციურ შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია („მომუშავეთა უფლებების დარღვევა“) გახდება ცნობილი მსესხებლის პასუხისმგებელი თანამშრომლისთვის, მსესხებელი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ OPIC-ს. მსესხებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა და გამოიყენოს ყველა შესაძლო საშუალება, რათა აღმოფხვრას ან აიძულოს შესაბამისი საპროექტო კონტრაქტორი ან საპროექტო ქვე-კონტრაქტორი, გამოასწოროს ან თავიდან აიცილოს ნებისმიერი მომუშავეს უფლებების დარღვევა.

ე) მიუხედავად ზემოთ აღნიშნული (გ) და (დ) ქვე-პუნქტებისა, მსესხებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მომუშავეთა უფლებების დარღვევისთვის, რაც გამოწვეულია ხელისუფლების ქმედებით.

30. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევები:

შემთხვევები ან პირობები, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი ბუნების ტრანზაქციებისთვის (ყოველი მათგანი წოდებული როგორც „ვალდებულების შეუსრულებლობა“), მათ შორის:

- ა) მსესხებლის მიერ რაიმე ფინანსური დოკუმენტის თანახმად გადასახდელი თანხის გადაუხდელობა;
- ბ) მსესხებლის მიერ სხვა ვალის გადაუხდელობა;
- გ) ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელიც არასწორია რაიმე მატერიალური თვალსაზრისით;
- დ) მსესხებლის ან მენეჯერის მიერ გარკვეული ვალდებულებების, მათ შორის ნეგატიური ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ე) მსესხებლის მიერ სხვა ვალდებულებების ან სესხის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და სხვა სახის ვალდებულებების შეუსრულებლობა, რომელიც გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს აღნიშნული მოვლენის დადგომიდან;

ვ) ნებისმიერი შესასრულებლად, განსახორციელებლად სავალდებულო შეთანხმება ან ფინანსური დოკუმენტი ან მსესხებლის ან სხვა აქციონერის ვალდებულება ფინანსური დოკუმენტის თანახმად, რომელზეც არ მომხდარა რაიმე გავლენა ან შეჩერებულა და რჩება ძალაში;

ზ) რომელიმე ფინანსური დოკუმენტის მოქმედების შეწყვეტა ან არაკანონიერად მიჩნევა;

თ) რომელიმე უზრუნველყოფის დოკუმენტის ან სხვა დადებისათვის განსაზღვრული გირაოს შეწყვეტა ან არაკანონიერად მიჩნევა;

ი) მართვის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტა რაიმე მიზეზით;

კ) აკრედიტაციის სამსახურის მიერ გაცემული აკრედიტაციის დაკარგვა, რომელიც მისაღებია OPIC-ის.

ლ) გაბანკროტება ან მსგავსი მოვლენა მსესხებლის მხრიდან 60 დღიანი საშეღავათო პერიოდით შეწყვეტის ან გათავისუფლებისათვის გაკოტრების პროცესის დაწყების შემთხვევაში, და

მ) პროექტის მფლობელების რაიმე სახის ცვლილება OPIC-ის წინასწარი თანხმობის გარეშე.

31. განმარტებანი:

„კორუფციის შესახებ კანონი“ ნიშნავს (ა) „უცხოური კორუფციის შესახებ 1977 წლის აქტს“ (გამოქვეყნებული N95-213, პარ.101-104), შესწორებით; და (ბ) სხვა მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც ეხება ქრთამის აღებას და სხვა მსგავს საქმიანობას.

„ვალდებულების შეუსრულებლობა“ ნიშნავს ისეთ მოვლენას ან მდგომარეობას, რომელიც დროთა განმავლობაში ან შეტყობინების გაგზავნისას ან ორივე შემთხვევაში გამოიწვევს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას.

„IFRS“ ნიშნავს „საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტებს“ (უწინ წოდებული როგორც „საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტები“), რომელშიც არის „საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს“ მიერ გაცემული სტანდარტები „საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის“ მიერ გაცემულ განმარტებებთან ერთად (შეტანილი ცვლილებებით, დამატებებითა და ხელახალი გამოცემებით), გამოყენებული შესაბამისი საფუძვლით, როგორც საგნების, ასევე რაოდენობების კლასიფიკაციით.

„საპროექტო კონტრაქტორი“ ნიშნავს პირს, რომელიც არის საპროექტო ხელშეკრულების მხარე მსესხებელთან.

„საპროექტო ხელშეკრულებები“ ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც დაკავშირებულია მსესხებელსა და საპროექტო კონტრაქტორს შორის მიმდინარე ღონისძიებებსა და პერაციებთან და საპროექტო კონტრაქტორსა და საპროექტო ქვე-კონტრაქტორს შორის.

„საპროექტო ქვე-კონტრაქტორი“ ნიშნავს პირს, გარდა მსესხებელისა, რომელიც არის საპროექტო შეთანხმების მხარე საპროექტო კონტრაქტორთან.

„მომუშავენი“ ნიშნავს ერთად ან ინდივიდუალურად (ა) პირებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაქირავებულნი არიან მსესხებლის მიერ და (ბ) პირებს, რომლებიც საპროექტო შეთანხმების თანახმად ახორციელებენ სამუშაოებს ობიექტზე, რომელიც არის ან (1) არსებითი ხანგრძლივობის ან (2) მნიშვნელოვანი პირველადი საპროექტო საქმიანობებისთვის.

თამარ ჭიჭაჭიძე

ცხრილი 1

სამოქმედო გეგმა

N	მოქმედება	განხორციელების თარიღი
1	მსესხებელი და მენეჯერი ვალდებული არიან შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი ადამიანი რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მისაღება OPIC-თვის მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. მართვის სისტემა უნდა მოცავდეს მინიმუმ შემდეგს: • ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რაც დამახასიათებელია „ამერიკული საავადმყოფო თბილისი“-ის განვითარებისთვის, რაც მოიცავს შრომით ურთიერთობებს, ბავშვთა შრომას, იძულების შრომას, არა-დისკრიმინაციას და თანაბარ შესაძლებლობებს, პროფკავშირულ გაერთიანებებს, ხელფასებს, შემოსავლებს და სამუშაო გარემოს, სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის დაცვას და უსაფრთხოებას და ა.შ. ყველა საპროექტო მომუშაებისთვის (როგორც თანამშრომლები, ასევე კონტრაქტორები) და გამომდინარეობს საქართველოს შრომის კოდექსიდან, OPIC-ის მომუშავეთა უფლებების სტანდარტებიდან, და „IFC მუშაობის სტანდარტები 2“-დან. • განახლებული საჩივრების წარდგენის მექანიზმი, რომელიც მოიცავს: - ანონიმურ არხს ყველა მომუშაებისთვის, წარადგინოს საჩივარი დასაქმებასთან დაკავშირებით, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით; - შეტყობინების პროცედურა: ყველა მომუშავე უნდა იქნას ინფორმირებული საჩივრების შეტანის მექანიზმის შესახებ მათი დაქირავების დროს და ის დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობს იგი, უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათთვის; მაგ: უნდა იყოს შეტანილი მომუშაებისთვის განკუთვნილ დოკუმენტაციაში ან შეტყობინების დაფებზე. • შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები როგორც დასაქმებულისთვის, ასევე კონტრაქტორისთვის; • შრომითი საკითხების მონიტორინგის სისტემა კონტრაქტორთან და ქვე-კონტრაქტორთან;	2016 წლის მაისი
3	• მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი მესამე მხარის უსაფრთხოების კონტრაქტორები პროექტთან დაკავშირებით შეესაბამებოდნენ უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომელსაც მოიცავს „IFC საქმიანობის სტანდარტები 4“.	მაისი 2016 წ.

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.

თარგმანი: თაზია ჭელიძე

ცხრილი 1

სამოქმედო გეგმა

N	მოქმედება	განხორციელების თარიღი 2016 წლის მაისი
1	მსესხებელი და მენეჯერი ვალდებული არიან შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი ადამიანი რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მისაღებია OPIC-თვის მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. მართვის სისტემა უნდა მოცავდეს მინიმუმ შემდეგს: • ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რაც დამახასიათებელია „ამერიკული საავადმყოფო თბილისი“-ის განვითარებისთვის, რაც მოიცავს შრომით ურთიერთობებს, ბავშვთა შრომას, იძულების შრომას, არა-დისკრიმინაციას და თანაბარ შესაძლებლობებს, პროფკავშირულ გაერთიანებებს, ხელფასებს, შემოსავლებს და სამუშაო გარემოს, სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის დაცვას და უსაფრთხოებას და ა.შ. ყველა საპროექტო მომუშაებისთვის (როგორც თანამშრომლები, ასევე კონტრაქტორები) და გამომდინარეობს საქართველოს შრომის კოდექსიდან, OPIC-ის მომუშავეთა უფლებების სტანდარტებიდან, და „IFC მუშაობის სტანდარტები 2“-დან. • განახლებული საჩივრების წარდგენის მექანიზმი, რომელიც მოიცავს: - ანონიმურ არხს ყველა მომუშაებისთვის, წარადგინოს საჩივარი დასაქმებასთან დაკავშირებით, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით; - შეტყობინების პროცედურა: ყველა მომუშავე უნდა იქნას ინფორმირებული საჩივრების შეტანის მექანიზმის შესახებ მათი დაქირავების დროს და ის დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობს იგი, უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათთვის; მაგ: უნდა იყოს შეტანილი მომუშაებისთვის განკუთვნილ დოკუმენტაციაში ან შეტყობინების დაფებზე. • შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები როგორც დასაქმებულისთვის, ასევე კონტრაქტორისთვის; • შრომითი საკითხების მონიტორინგის სისტემა კონტრაქტორთან და ქვე-კონტრაქტორთან;	
3	• მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი მესამე მხარის უსაფრთხოების კონტრაქტორები პროექტთან დაკავშირებით შეესაბამებოდნენ უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომელსაც მოიცავს „IFC საქმიანობის სტანდარტები 4“.	მაისი 2016 წ.

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.

თარგმანი: თაზია ჭელიძე

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის ცხრამეტ თებერვალს მე, მეგი მაღალდაძე, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19 მომმართა ქ-ნმა თამთა ქუსიკაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტი და მოთხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დაწვრივდი, რომ მე ნამდვილად: ქ-ნმა თამთა ქუსიკაშვილმა (დაბ: 21.07.1988 წ. ქ. თბილისში. მცხ: თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. კორპ. 5ა, ბინა #13; პ/ნ #14001008602; ბარათის ნომერი: 13IE29713) მომმართა.

აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შევამოწმე ის ფაქტი, რომ იგი ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას, თანახმად სერტიფიკატისა: გაცემული „გლობალ ამერიკულ-ბრიტანული ცენტრის“ მიერ, ნომერ: 53).

თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა დოკუმენტზე, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

7.3.4. რაიმე სახით გამოიყენებს კორპორატიულ, ბიზნეს, სავაჭრო პროდუქტს, დომენს ან მომსახურების სახელწოდებას, მარკას, დიზაინს ან ლოგოს, რომელიც არის იდენტური ან ფერით მსგავსი, ან შესაძლოა მიმსგავსებული იყოს დამკვეთის კორპორაციულ სახელთან ან ნებისმიერ კორპორატიულ, ბიზნეს, სავაჭრო, პროდუქტის, დომენის ან მომსახურების სახელწოდებასთან, მარკასთან, დიზაინსა და ლოგოსთან, რომელსაც გამოიყენებს გამკვეთი, ან რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მასთან.

7.3.5. გამოიწვევს, ან შეეცდება, რომ შეწყდეს, ან უარყოფითად იმოქმედოს, ან სხვაგვარად ჩაერიოს ნებისმიერ ხელშეკრულებაში, ან გარიგებაში, რომლის მხარეც შესაძლოა იყოს დამკვეთი ან რომლისგანაც იგი შესაძლოა იღებდეს სარგებელს.

7.3.6. შეეცდება ჩაერიოს, ან უარყოფითი გავლენა იქონიოს დამკვეთზე და მის პროფესიულ და ბიზნეს ხელშეკრულებებზე;

7.3.7. დააყენოს შუამდგომლობა ან შეეცადოს ჩამოაშოროს ან ხელი შეუშალოს ნებისმიერ პირს, რომელიც არის დამკვეთის თანამშრომელი და ჩართულია მართველობით, ზედამხედველობის, ტექნიკური ან გაყიდვების სფეროში ან მას, ვინც შეთანხმებულია ამ თანამდებობაზე სამუშაოს შესრულებაზე, და ვისთანაც AHMC-ს შესაძლოა ჰქონდეს პირადი კონტაქტები, იმუშაოს დამკვეთთან, მიუხედავად იმისა, ეს პირი დაარღვევს თუ არა ხელშეკრულებას.

7.3.8. დაიქირაოს, ან ჩართოს საქმიანობაში, ან ეცადოს რომ დაიქირაოს ან ჩართოს საქმიანობაში, ან აწარმოოს მოლაპარაკებები და ხელი შეუწყოს დაქირავებას, ან საქმიანობაში ჩართვას ნებისმიერი სხვა პირისა, რომელიც არის საავადმყოფოს თანამშრომელი და ჩართულია მმართველობით, ზედამხედველობის, ტექნიკური, ან გაყიდვების სფეროში, რომელთანაც AHMC-ს აქვს პირადი კავშირი, თუ ამგვარი დაქირავება ან საქმიანობაში ჩართვა მოსთხოვს ამ პირს, გამოიყენოს ისეთი უნარები, ან ცოდნა, რომელიც მის მიერ გამოიყენებულია დამკვეთთან მუშაობისას, ან თუ ეს პირი არის ან უდა იყოს მისი დასაქმების გამო ან წინა საქმიანობის გამო დაკავშირებული რაიმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მიუხედავად იმისა, დაარღვია თუ არა მან ხელშეკრულება.

7.3.9. გამოიწვიოს, დაეხმაროს ან განზრახ დაეხმაროს ნებისმიერ სხვა პირს, განხორციელოს რაიმე საქმიანობა, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდებოდა AHMC-ს მიერ, იქნებოდა ამ მუხლის რომელიმე პუნქტის დარღვევა.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ AHMC მიიღებს წინადადებას ბიზნეს საქმიანობის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც იქნება საავადმყოფოს მიერ განხორციელებული საქმიანობის იდენტური ან მსგავსი, AHMC ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს აღნიშნული შეთავაზების შესახებ და იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი, ან კომპანიათა ჯგუფი შესთავაზებს იგივე წინადადებას მას, იგივე პირობებით 30 სამუშაო დღის განმავლობაში, ზემოთ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან, AHMC ვალდებულია უპირატესობა მიანიჭოს დამკვეთის ან კომპანიათა ჯგუფის მიერ შეთავაზებულ წინადადებას.

თავი 8.

ლიცენზირება

8.1. AHMC ვალდებულია აცნობოს საბჭოს იმ ლიცენზიების შესახებ, რომელიც საჭიროა საავადმყოფოსა და პერსონალისთვის, რათა მოხდეს მუდმივად სათანადო, სრულყოფილი ლიცენზირება და სერტიფიცირება.

8.2. AHMC ვალდებულია გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა მართოს სრულად ლიცენზირებისა და სერტიფიცირების პოლიტიკა ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების გზით და აცნობოს საბჭოს ამის შესახებ ყოველ ჯერზე.

8.3. 8.1 და 8.2 პუნქტების შესაბამისად საბჭომ უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს საავადმყოფოს სრული ლიცენზირება და სერტიფიცირება.

თავი 9

ხელშეკრულების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მუხლი 12-ის (ხელშეკრულების შეწყვეტა) შესაბამისად მოქმედებს მის ამოწურვამდე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება ერთ მთლიან პროექტად, რომელიც შედგება სამი განვითარებადი ფაზისგან, რომლებიც ქვემოთაა აღწერილი და დეტალურად მოცემულია „დანართი 1“-ში.

9.2.1. „ფაზა 2“ – მას ეწოდება „მშენებლობის მენეჯმენტის კონსულტირება“ და მოიცავს სხვებთან ერთად ადმინისტრაციული პროექტების კონსულტანტის დაქირავებას, რომელიც უნდა იყოს პირი, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა საავადმყოფოს მშენებლობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რათა გააკონტროლოს საავადმყოფოს სამშენებლო მოედანზე მიმდინარე სამუშაოები. აღნიშნული ეტაპი გათვალისწინებულია, რომ გაგრძელდეს დაახლოებით 3 თვის განმავლობაში.

9.2.2. „ფაზა 3“ – მას ეწოდება „ფუნქციონირების დაწყებამდე შესასრულებელი ოპერაციები და შემოწმება“ და მოიცავს პერსონალის და სამედიცინო პერსონალის აყვანას და დატრენინგებას, ასევე ფუნქციონირებისთვის საჭირო გეგმების, პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას. აღნიშნული ეტაპის რომ გაგრძელდება დაახლოებით 15 თვის განმავლობაში და დასრულდება საავადმყოფოს გახსნის დღეს. მოსალოდნელია რომ მეორე და მესამე ფაზები შესაძლოა განხორციელდეს თანადროულად.

9.2.3. „ფაზა 4“ – მას ეწოდება „სავადმყოფოს ადმინისტრირების ფაზა“ მოიცავს საავადმყოფოს ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებას, როგორც განსაზღვრულია „დანართი-1“-ში. ამ ფაზის ხანგრძლივობა გათვლილია 10 წელზე, რომელიც დაიწყება საავადმყოფოს გახსნის დღეს და წინამდებარე ხელშეკრულების ვადა ამოწურება საავადმყოფოს გახსნის მეათე წლის თავზე. გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი არ გაგრძელდა ხუთი წლის ვადით დამკვეთსა და AHMC-ს (მათი

შეხედულებისამებრ) შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, AHMC-თვის საწყისი ვადის ან გაგრძელებული ვადის ამოწურვის დღემდე 6 თვით ადრე შეტყობინების გაგზავნით.

თავი 10.

უფლებამოსილების გადაცემა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის მხარეთა პირადი უფლებამოსილება და არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს იგი მისი სრული ან ნაწილობრივი უფლებებით და მოვალეობებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.

10.2. უფლებამოსილების გადაცემაზე თანხმობა არ შეიძლება უსაფუძვლოდ შეჩერდეს ან დაყოვნდეს და აღნიშნულ თანხმობაზე თანდართული პირობები არ შეიძლება ჩაითვალოს უსაფუძვლოდ.

10.3. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დადოს ქვე-ხელშეკრულება ან გადასცეს იგი რაიმე სახით მესამე პირს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

თავი 11.

მნიშვნელოვანი დებულება

11.1. ზემოთ აღნიშნული ყველა მომსახურების ანაზღაურების მიზნით ფილიალმა AHMC-ს უნდა გადაუხადოს შემდეგი:

11.1.1. „მეორე ფაზა“: „მშენებლობის მართვის კონსულტირება“: საავადმყოფომ უნდა გადაუხადოს AHMC-ს:

ა) მართვის მომსახურების ანაზღაურება: 142.500 აშშ დოლარი. (ას ორმოცდაორი ათას ხუთასი აშშ დოლარი), რომელიც გადახდილ უნდა იქნას სამ ეტაპად, 47.500 აშშ დოლარის ოდენობით თითოეულ ეტაპზე. მეორე ფაზის განმავლობაში, როგორც შეთანხმებულია მხარეთა შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ამ თავის მიზნებისათვის მეორე ფაზის ხანგრძლივობა განისაზღვრება სამი თვით და არც ერთ შემთხვევაში AHMC-ს არ აქვს უფლება ამ პუნქტის ან სხვა რომელიმე მუხლების გათვალისწინებით გადაუხადოს საერთო რაოდენობაზე მეტი თანხა. მართვის ანაზღაურების თითოეული გადახდა უნდა მოხდეს AHMC-სთვის დამკვეთის მიერ, დაქვითვის გარეშე. მომსახურების მიღება-ჩაბარების და შესაბამისად გაცემული ინვოისის ხელის მოწერის დღიდან 15 დღის განმავლობაში AHMC-სთვის დამკვეთის მიერ.

ბ) მობილიზაციის გადასახადი: 40.000 (ორმოცი ათასი აშშ დოლარი), რომელიც AHMC-ს უნდა გადაუხადოს დამკვეთმა დაქვითვებისა და გადასახადების გარდა ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 15 დღის განმავლობაში. სათანადოდ შედგენილი ინვოისის საფუძველზე, რომელიც წარედგინება დამკვეთს.

გ) მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი წარმომადგენელი, თანამშრომელი, კონტრაქტორი ან დაქირავებული თანამშრომელი, რომელიც ჩართული უნდა იქნას AHMC-ს მიერ მომსახურების შექმნის მიზნით ან მეორე ფაზის განმავლობაში სამუშაოს წარმოდგენის მიზნით, რჩება AHMC-სთან შრომით ან სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. აღნიშნული პირების ყველა ან ნაწილობრივი ხარჯები ნაწილობრივ ან მთლიანად უნდა დაფაროს AHMC-მ, მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარადგინოს რაიმე პრეტენზია დამკვეთის, ფილიალის ან საავადმყოფოს წინააღმდეგ აღნიშნული ხარჯების კომპენსირებისთვის.

11.2. „მესამე ფაზა“ – ფუნქციონირების დაწყებამდე განსახორციელებელი საქმიანობები და შემოწმებები: საავადმყოფომ უნდა გადაუხადოს AHMC-ს მართვის მომსახურებისათვის ანაზღაურება 249.999 აშშ დოლარი, რომელიც უნდა გადახდილ იქნას სამ ეტაპად, თითოეულ ეტაპზე 83.333 აშშ დოლარი, თანხა გადახდილ უნდა იქნას პირველ, მესამე და მეხუთე თვეებში, როგორც შეთანხმებულია მხარეთა მიერ და არც ერთ შემთხვევაში AHMC-ს არ ენიჭება უფლებამოსილება ან არ აქვს უფლება წარადგინოს პრეტენზია და მოითხოვოს ამ ან სხვა რომელიმე

პუნქტთან დაკავშირებით 249.999 აშშ დოლარზე მეტი თანხის ანაზღაურების გადახდა. დამკვეთმა AHMC-ს მართვის მომსახურების ანაზღაურების თანხები უნდა გადაუხადოს დაქვითვისა და დაბეგვრის გარეშე, მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერისა და AHMC-გან ინვოისის მიღების დღიდან 15 დღის ვადაში.

11.3. „მეოთხე ფაზა“ – „ადმინისტრირება და ფუნქციონირების ოპერაციები“ საავადმყოფომ უნდა გადაუხადოს AHMC-ს:

ა) ყოველთვიური მართვის განხორციელებისათვის ანაზღაურება – 40.000 აშშ დოლარის ოდენობით. აღმასრულებელი და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები იქნებიან AHMC-ს თანამშრომლები და მათი ხელფასები და ანაზღაურება გადახდილ იქნება AHMC-ს მიერ. უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, უფროსი ოპერატორი ოფიცერი, უფროსი ექთანი და ხარისხის მართვის პროექტების დირექტორი არიან უფროსი თანამდებობის პირები საავადმყოფოში და მათთან დამკვეთი აფორმებს ცალკე შრომით ხელშეკრულებებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ უფროსი თანამდებობის პირების თვიური ხელფასი შესაძლოა გადაისინჯოს AHMC-სა და დამკვეთს შორის კონსულტაციების შედეგად.

ბ) ყოველწლიური ჰონორარი, რომელიც შეადგენს ფილიალის აუდიტირებული სუფთა მოგების 15%, უნდა გადახდილ იქნას ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან 4 თვის ვადაში ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. ყოველწლიურ ჰონორარს AHMC-ს უხდის კლიენტი ან ფილიალი, თუ სხვა რამ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის. ჰონორარი AHMC-ს გადაეხდება დაქვითვებისა და გადასახადების გარეშე AHMC-ს მიერ სათანადო წესით გაცემული ინვოისის მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

11.4. AHMC-ს კორპორატიული პერსონალის უფროსი თანამდებობის პირების მოგზაურობა უნდა მოხდეს ბიზნესკლასით და მათი განთავსება უნდა მოხდეს ბიზნეს კლასის სასტუმროებში. უფროსი თანამდებობის პირები არიან AHMC-ს თავმჯდომარე, უფროსი აღმასრულებელი ოპერატორი და აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი. ზემოთ აღნიშნული მოგზაურობების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 40.000 აშშ დოლარს წელიწადში. დამატებითი ხარჯები, რომელიც გაიღება AHMC-ს ან მისი წარმომადგენლების მიერ, იმ მომსახურებასა და სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა წარმოადგინოს და შეასრულოს მეორე, მესამე და მეოთხე ფაზებში, უნდა შეთანხმებულ იქნას წინასწარ დამკვეთთან და ასეთი შეთანხმების საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს AHMC-ს მიერ წინასწარ დამკვეთთან და ასეთი შეთანხმების საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს AHMC-ს მიერ დამკვეთისათვის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე AHMC-ს ინვოისის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

11.5. AHMC-ს მიერ საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი თანამშრომლებისა და ექიმებისთვის, რომლებმაც უნდა იმუშაონ საავადმყოფოში AHMC-ს პერსონალის დაქირავების მოდელის შესაბამისად, საავადმყოფო წარმოადგენს შესაბამის თვიურ ანაზღაურებას. მათ შორის ყველა საჭირო ხარჯს, ბილეთს, ხელფასს, სამედიცინო დაზღვევასა და საცხოვრებელ ფართს. და გადასახადებს AHMC-სთვის თანამშრომლებისათვის გადახდამდე 10 კალენდარული დღით ადრე.

11.6. დამკვეთს უფლება აქვს დაავალოს თავის აქციონერს, ან ჯგუფის ნებისმიერ სხვა კომპანიას, აღნიშნული თანხების გადახდა, რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით. ყველა გადახდა, რომელიც განხორციელდება ამ ხელშეკრულების თანახმად კლიენტის, ფილიალის ან ნებისმიერი მესამე კომპანიის მიერ დამკვეთის გადაწყვეტილებით, უნდა ჩაითვალოს საავადმყოფოს ხარჯებში.

11.7. ყველა გადახდა ხორციელდება აშშ დოლარში და სრული ოდენობით გადარიცხვის საკომისიოებისა და სხვა დაქვითვების გარეშე გარდა კორპორატიული გადასახადებისა.

12.1. ამ ხელშეკრულების სხვა პუნქტების შეუზღუდავად ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება დაუყოვნებლივ, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის საფუძველზე:

12.1.1. თუ მეორე მხარე მნიშვნელოვნად აღევს, ან არ ასრულებს მის მოვალეობებს, რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით ან მისი რომელიმე პუნქტით და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დარღვევა ან შეუსრულებლობა ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ არ გამოსწორდა მეორე მხარის მიერ დარღვევის არსისა და გამოსწორების მოთხოვნის მითითებით წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მიუხედავად მიღებიდან 90 დღის განმავლობაში; ან

12.1.2. თუ მეორე მხარე გახდა გადახდის უუნარო, ან მის წინააღმდეგ გამოცემულია ბრძანება ან სასამართლო გადაწყვეტილება მისი გაკოტრების შესახებ ან თუ ადმინისტრატორი ადმინისტრაციული მიმღები ან მიმღები დაინიშნა მეორე მხარის აქტივების ან ბიზნესის სფეროში, ან თუ ეს მხარე შეადგენს მისი კრედიტორებისგან, ან მიიღებს რაიმე მსგავს ან ანალოგიურ მოქმედებას რომელიმე ქვეყანაში ვალის არსებობის შედეგად.

12.2. დამკვეთს აქვს უფლება შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ AHMC ვერ ასრულებს მის მოვალეობებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად. იგი წარუდგენს AHMC-ს წინასწარ შეტყობინებას ერთი თვით ადრე. გარდა ამისა, დამკვეთს აქვს უფლება შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება AHMC-სთვის ერთი თვით ადრე შეტყობინების წარდგენის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ (1) ამ ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის განმავლობაში დამკვეთი ვერ ახერხებს სავადმყოფოს მშენებლობისთვის თანხების მოზიდვას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან ან, (2) თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან ფინანსები უკან იქნა გახმობილი და/ან გაუქმებული რაიმე მიზეზით. არც ერთ შემთხვევაში დამკვეთს არ ეკისრება ვალდებულება AHMC-ს წინაშე რაიმე პირდაპირი, ან შედეგობრივი დანაკარგის და ან ზიანის ანაზრაურებისათვის რაიმე შეზღუდვის გარეშე, მათ შორის მოგების დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, ხელშეკრულების დაკარგვისათვის და უნდა გადაუხადოს AHMC-ს მხოლოდ განსაზღვრული თანხები, რომელსაც გამოიმუშავენ AHMC ამ ხელშეკრულების დასრულებამდე.

12.3. ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში AHMC ვალდებულია დატოვოს და გაიყვანოს თავისი პერსონალი საავადმყოფოს საქმიანობიდან და დაუბრუნოს დამკვეთს ამ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში დამკვეთს ყველა ბიზნეს ჩანაწერი, რომელიც ეხება საავადმყოფოს. ყველა სამედიცინო ჩანაწერი უნდა ინახებოდეს საავადმყოფოს მიერ და რჩება საავადმყოფოს საკუთრებაში.

თავი 13

დაზღვევა

13.1. საავადმყოფო ვალდებულია აწარმოოს საავადმყოფოს პროფესიონალებისა და ძირითადი ვალდებულებების დაზღვევა, მათ შორის პრაქტიკაში მიღებული შემთხვევების დაზღვევა და უნდა ჩასვას AHMC დამატებით დაზღვეულ პირად ამ პოლისში.

13.2. AHMC პასუხისმგებელია დაზღვევის დაფარვის ძალაში შესვლაზე, განახლებასა და მუდმივ ფუნქციონირებზე, რომელიც მითითებულია 13.1. პუნქტში და საბჭოსთვის სათანადო რეკომენდაციებისა და შეთავაზებების წარდგენაზე არსებული სადაზღვევო პოლისების და სხვა პოტენციური დაზღვევების განახლებისა და შენარჩუნების შესახებ.

13.3. AHMC ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული ვალდებულებანი მინიმალური სადაზღვეო თანხით, რაც უდრის 1.000.000 აშშ დოლარს თავისი ხარჯებით, იმ პირობებითა და ვადებით, რომელიც მოწონებული იქნება დამკვეთის მიერ და ვალდებულია წარუდგინოს ამის მტკიცებულებანი (დაზღვევის პოლისი და ა.შ.) კლიენტს ერთი თვის განმავლობაში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. დაზღვევა უნდა გაკეთდეს ერთი წლის ვადით და მისი ვადა უნდა გაგრძელდეს შემდეგი წლით დაზღვევის პერიოდის დასრულების შემდეგ. დამკვეთს ასევე

უნდა წარედგინოს სადაზღვეო პერიოდის გაგრძელების დამადასტურებელი საბუთები დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

თავი 14

კონფიდენციალურობა

ორივე მხარე თანხმდება, რომ შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ნებისმიერ ქონებას, ან კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა ერთ-ერთი მხარისთვის ამ ხელშეკრულების მოქმედებისას.

14.1. ყოველი მხარე აღიარებს, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მას ექნება წვდომა იმ ინფორმაციასთან, რაც არის კონფიდენციალური და მეორე მხარის საკუთრება. ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას არ გამოიყენოს აღნიშნული კონფიდენციალური და კერძო ინფორმაცია მისი საკუთარი მიზნებისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. ყოველი მხარე ვალდებულია ყველა ღონეს მიმართოს იმისთვის, რომ დაიცვას ასეთი ინფორმაცია და დაფაროს ან არ გაამჟღავნოს იგი. იმ შემთხვევაში, თუ მხარე გაამჟღავნებს ნებისმიერ კონფიდენციალურ ან კერძო ინფორმაციას მის თანამშრომლებთან, ან ოფიციალურ პირებთან, ეს უკანასკნელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ეს ინფორმაცია დაცული იყოს იმავე ხარისხით, რომლითაც მას უნდა დაეცვა იგი.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვალდებული გახდება კანონის ძალით, ან სხვა გზით გაამჟღავნოს კონფიდენციალური, კერძო ან აკრძალული ინფორმაცია, იგი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14.4. ზემოთ აღნიშნული მუხლები არ ვრცელდება შემდეგ ინფორმაციაზე:

14.4.1. ინფორმაცია, რომელიც მიიღო მხარემ, ან დამოუკიდებლად მოიპოვა მან ამ ინფორმაციის გადაცემამდე;

14.4.2. ინფორმაცია, რომელიც არის ან გახდება საზოგადოებრივი დომენის ნაწილი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ინფორმაცია პირადად ან არაპირდაპირ გამჟღავნდა საზოგადოებრივ დომენზე, როგორც ამ ხელშეკრულების ინფორმაციის მიმღები მხარის მიერ დარღვევის შედეგი.

14.2.3. ინფორმაცია მიღებული სხვა წყაროდან (რომელიც არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ უკავშირდება ამ ინფორმაციის წარმომდგენ მხარეს), რომელიც არ კრძალავს მის გამჟღავნებას, ან გამოყენებას.

14.5. ამ მუხლის პუნქტები ძალაში რჩება ამ ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის ამოწურვის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

თავი 15

ინტელექტუალური საკუთრება

15.1. AHMC იძლევა გარანტიას, აცხადებს და იღებს ვალდებულებას, რომ არცერთი მისი მოქმედება, ქმედება ან მისი თანამშრომელი არ დაარღვევს მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას.

15.2. დამკვეთი ნებას რთავს AHMC-ს გამოიყენოს საავადმყოფოს სახელი საავადმყოფოსთან კავშირში მხოლოდ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საბჭოს მიერ დამტკიცებული წერილობითი სახით.

15.3. დამკვეთი ასევე რთავს ნებას AHMC-ს, გამოიყენოს საავადმყოფოს ნებისმიერი კორპორატიული ლოგოს ადაპტირებული ვერსია და AHMC ასევე თანხმდება, გამოიყენოს აღნიშნული ლოგო მხოლოდ იმ სახითა და სტილით, რომელსაც წერილობით განსაზღვრის საბჭო.

15.4. ლოგოს და სახელის გამოყენების უფლება AHMC-ს ენიჭება დამკვეთის მიერ მხოლოდ როგორც პირადი, არა ექსკლუზიური, არა გადაცემადი და განუყოფელი უფლება. ინტელექტუალური საკუთრების უფლება აღნიშნულ სახელსა და ლოგოზე ყოველთვის რჩება კლიენტს.

15.5. AHMC ასევე რთავს ნებას დამკვეთს, გამოიყენოს AHMC-ს კორპორატიული ლოგოს და სახელის ადაპტირებული ვერსია და სახელი. საავადმყოფოს საქმიანობასთან კავშირში ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სახელისა და ლოგოს გამოყენების უფლება დამკვეთს ენიჭება AHMC-გან მხოლოდ როგორც პირადი, არა ექსკლუზიური, არა გადაცემადი და განუყოფელი უფლება.

თავი 16

უზრუნველყოფა და გარანტიები

AHMC ვალდებულია უზრუნველყოს, დაიცვას და დააზღვიოს ზიანისგან დამკვეთი, ფილიალი და საავადმყოფო და მისი აგენტები, ოფიციალური პირები და თანამშრომლები ნებისმიერი და ყველა დანახარჯისგან (მათ შორის და არა მხოლოდ ადვოკატის ანაზრაურება და სასამართლო ხარჯები), დანაკარგისგან, ვალდებულებისა და პრეტენზიებისგან, რომელიც წარმოიშობა ქონების დაზიანების, ან პირის დაზიანების ან დაღუპვის შედეგად, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშობა ან რაიმე სახით დაკავშირებულია AHMC-ს მიერ მომსახურების გაწევის და საავადმყოფოს ფუნქციონირებასთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხარჯები, დანაკარგები და პასუხისმგებლობა ან პრეტენზია გაწეულია დამკვეთის, ფილიალის ან საავადმყოფოს მიერ პირადად ან თავდაპირველად გამოწვეულ იქნა AHMC-ს არაკეთილსინდისიერი ქმედებით ან უმოქმედობით, ან მისი განზრახ არასათანადო ქმედებით (მათ შორის და არა მხოლოდ AHMC დირექტორისა და AHMC თანამშრომლების მიერ). ასევე დამკვეთი, ფილიალი და საავადმყოფო იძლევიან გარანტიას და უზრუნველყოფენ და იცავენ AHMC-სა და მის თანამშრომლებს და აგენტებს ნებისმიერი ზიანისა და ხარჯებისგან (მათ შორის და არა მხოლოდ ადვოკატის ანაზრაურება და სასამართლო ხარჯები), დანაკარგი, ვალდებულებანი და პრეტენზიებისგან, რომელიც წარმოიშობა ქონების დაზიანების, ან პირის დაზიანების ან დაღუპვის შედეგად, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშობა ან რაიმე სახით დაკავშირებულია საავადმყოფოს მფლობელობასთან ან ფუნქციონირებასთან ან დამკვეთის საქმიანობასთან. ასევე ფილიალის და საავადმყოფოს ფუნქციონირებასთან, ან მათ ვალდებულებებთან, რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით; გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრეტენზია გამოწვეულია ნაწილობრივ ან სრულად AHMC-ს არაკეთილსინდისიერი ქმედებით ან უმოქმედობით, ან მისი განზრახ არასათანადო ქმედებით (მათ შორის უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის, უფროსი ოპერატორი ოფიცრის, უფროსი ექთნის, ხარისხის მარვის პროექტების დირექტორის და AHMC-ს ნებისმიერი თანამშრომლის სხვა დაქირავებული პერსონალის მიერ, რომელიც წარდგენილია და დანიშნულია AHMC-ს მიერ).

თავი 17

განცხადებანი და გარანტიები

17.1. AHMC აცხადებს და იძლევა მუდმივ გარანტიას დამკვეთის წინაშე, რომ:

17.1.1. იგი არის დაარსებული და კანონის ფარგლებში მოქმედებს მისი წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

17.1.2. მას ჰქონდა და ექნება სრული უფლებამოსილება, დადოს წინადადებაზე ხელშეკრულება, წარმოადგინოს აღნიშნული მომსახურება ამ ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

17.1.3. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მის კანონიერ ნებადართულ და შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულებებს.

17.1.4. იგი არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე კანონმდებლობას, წესს ან მოქმედ კანონს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას.

17.2. მხარეებმა უნდა წარუდგინონ ერთმანეთს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილებას.

თავი 18

დამოუკიდებელი კონტრაქტორი

დამკვეთთან AHMC-ს ურთიერთობა ატარებს დამოუკიდებელი კონტრაქტორის სახეს და ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეასრულებს AHMC ამ ხელშეკრულების თანახმად მისი მოქმედების პერიოდში განხორციელდება AHMC-ს, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორის უფლებამოსილების ფარგლებში. AHMC არ უნდა ჩაითვალოს რაიმე ერთობლივი საწარმოს პარტნიორად, საავადმყოფოს ან მასთან დაკავშირებული დაწესებულების მართვისას.

თავი 19

მოქმედი კანონმდებლობა და დავათა გადაწყვეტა

19.1. ეს ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ნებისმიერი დავა, პრეტენზია, ან სარჩელი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ასევე რეგულირდება აღნიშნული კანონმდებლობით. ხელშეკრულების ოფიციალური პირობები შედგენილია ინგლისურ ენაზე.

19.2. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი ეჭვი და კითხვა მის არსებობასთან, კანონიერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ. არბიტრის რაოდენობა უნდა იყოს 1. არბიტრაჟის ადგილსამყოფელი უნდა იყოს ინგლისი, ლონდონი. და არბიტრაჟის პროცესი უნდა გაიმართოს ინგლისურ ენაზე.

თავი 20

კანონიერი პრცედურები

თუ AHMC და/ან უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც AHMC-ს მიერ არის დანიშნული საავადმყოფოში, შეიტყობს ან მისთვის ცნობილი გახდება რაიმე კანონისმიერი პროცედურის შესახებ საავადმყოფოს და/ან ფილიალის წინააღმდეგ, AHMC ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს დამკვეთს და შეათანხმოს იურიდიული საკითხები და პროცედურები საავადმყოფოს მრჩეველებთან (საჭიროებს საბჭოს მიერ დამტკიცებას).

თავი 21

შესაბამისობა კანონმდებლობასთან

AHMC უნდა დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობას, ყველა საკითხში, რაც დაკავშირებულია შრომით ურთიერთობებს, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, გადასახადებისა და სხვა იურიდიულ საკითხებთან.

თავი 22

შეტყობინებები

ერთ-ერთი მხარის მიერ გაგზავნილი შეტყობინება მეორე მხარისათვის უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გადაცემულად ითვლება იმ დღეს, როდესაც პირადად ან ფაქსის საშუალებით ჩაბარდება შემდეგ მისამართებზე:

AHMC: კომპანია “American Hospital Management Company”

აშშ, ვაშინგტონი 20006, 1776 წლის პირველი ქუჩა NW, მე-9 სართული
ტელ: 1(202) 7564845 ფაქსი: 1(202) 7561301

დამკვეთი: შპს „საიალი“

მის: საქართველო, ქ. თბილისი, უ. ჩხეიძის ქ. N 6

ტელ./ფაქსი: 00995 32 295 12 12

ელ ფოსტა: m.suleimanov@sayali.ge

თავი 23

ზოგადი დებულებანი

სათაურები: სათაურები აღნიშნულ ხელშეკრულებაში მოყვანილია თვალსაჩინოების მმიზნით და არ ცვლის, განმარტავს, ზღუდავს ან განავრცობს ამ ხელშეკრულებაში გამოთქმულ დებულებებს.

სამართალმემკვიდრენი და უფლებამონაცვლეები: წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა შესასრულებლად და მოქმედებს მხარეთა პირადი წარმომადგენლების სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების ინტერესების სასარგებლოდ.

ხარჯები: ყოველი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ხარჯები და დანახარჯები, რომელიც გაწეულია ამ მხარის მიერ ამ ხელშეკრულების მოლაპარაკებების, მომზადებისა და შესრულებასთან დაკავშირებით და მასში აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით,

ხელშეკრულების მთლიანობა: წინამდებარე ხელშეკრულება და მასში აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს მხარეთა შორის დადებულ ერთ მთლიან ხელშეკრულებას აღნიშნულ საკითხზე და ჩაანაცვლებს მანამდე მხარებს შორის დადებულ ყველა შეთანხმებას. ითვლება, რომ წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა განცხადებასა და გარანტიას რომელიც გამოხატულია აღნიშნულ ხელშეკრულებაში.

ცვლილებები და უფლებებზე უარი: ნებისმიერი ცვლილება ან ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობაზე უარის თქმა არის კანონიერი ძალის მქონე, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ ან მათი სახელით; ამ თავის შესაბამისად, მხარეებს შეუზღუდავად შეუძლიათ შეცვალონ წინამდებარე ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება, რომელიც სრულდება მესამე მხარის მიერ ან სხვაგვარად შეცვალონ ეს ხელშეკრულება იმგვარად, რომ შეცვალონ მესამე მხარის უფლებები მისი თანხმობის გარეშე.

ძალაში შესვლა: ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობა ან დაგვიანებით შესრულება არ ნიშნავს მასზე უარის განცხადებას. რაიმე უფლების ან პრივილეგიის ცალკეული ან ნაწილობრივი გამოყენება არ ნიშნავს უარის თქმას სხვა უფლების ან პრივილეგიის მომავალში გამოყენებაზე. მხარეთა უფლებები არის კუმულაციური და არ გამორიცხავს ნებისმიერ სხვა უფლებას, რომელსაც ითვალისწინებს კანონი.

განუყოფლობა: თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ან მისი ნაწილი გამოცხადდა არაკანონიერად ან კანონთან შეუსაბამოდ, დანარჩენი დებულებები ან თვით ხელშეკრულება რჩება ძალაში. აღნიშნულ უკანონო ან კანონთან შეუსაბამო ნაწილთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი მოახდენენ ამ ნაწილის შესწორებას იმგვარად, რომ დროთა განმავლობაში რომელიმე მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება იყოს კანონიერი და შესრულებადი და მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მხარეთა თავდაპირველ განზრახვას ამ ნაწილთან დაკავშირებით.

განუხორციელებლობის ეფექტი: თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი რომელიმე შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ გამოცხადდა უკანონოდ, ეს ნაწილი უნდა გამოიყოს ამ ხელშეკრულებისგან და მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ თავიანთი უფლება (რადგანაც მათ აქვთ ამის კანონიერი უფლება) მოითხოვონ, რომ უკანონოდ გამოცხადებული გამოყოფილი ნაწილი ჩაანაცვლდეს სხვა ახალი დებულებით, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მხარეთა თავდაპირველ განზრახვას ამ ნაწილთან დაკავშირებით.

არასაანდოობა: ყოველი მხარე ადასტურებს, რომ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის განცხადებით ეს მხარე არ ეყრდნობოდა რაიმე განცხადებას, გარანტიას, ორმხრივ ხელშეკრულებას ან სხვა

უზრუნველყოფას, გარდა ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულისა. მანამდე დადებულ განცხადებებთან, გარანტიებსა და ურთიერთშეთანხმებებთან დაკავშირებით მხარეები აცხადებენ, რომ უარს აცხადებენ აღნიშნულით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და უფლებებზე. თუმცა, წინამდებარე მუხლი არ ზღუდავს ან გამორიცხავს ქრთამის აღებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

დრო: ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული ნებისმიერი თარიღი ან პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუმცა ნებისმიერ თარიღთან ან პერიოდთან დაკავშირებით (გაგრძელება, თუ არა იგი შეთანხმების საფუძველზე) დრო უნდა იყოს ამ ხელშეკრულების ვადაში. თუ ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში, მეორე მხარე გაუგზავნის შეტყობინებას დამრღვევ მხარეს იმ მოთხოვნით, რომ შეასრულოს ვალდებულება განსაზღვრულ ვადაში და მიუთითებს აღნიშნულ ვადას, რომელიც იქნება განმასზღვრელი ფაქტორი ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

გამონაკლისის არ არსებობა: ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული და განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებანი არ გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებსა და უფლებებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარის უფლებები და ვალდებულებები ნათლად არის გამორიცხული ან აკრძალული ხელშეკრულების პირობების თანახმად.

განცხადებები: არც ერთ მხარეს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია განაცხადოს აღნიშნული გარიგების შესახებ ან გაამჟღავნოს ამ ხელშეკრულების პირობები ან რაიმე დოკუმენტის შინაარსი, რომელიც ეხება ამ ხელშეკრულებას მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ინფორმაცია უკვე კანონიერად გამჟღავნდა საზოგადოებაში. მხარეები ვალდებული არიან ყველა ზომა გამოიყენონ, რათა დაიცვან ამ ხელშეკრულების პირობებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების კონფიდენციალობა, რომლებიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული საზოგადოებაში. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად მხარეს შესაძლოა მიენიჭოს უფლება, განაცხადოს ან გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, თუ კანონი დაავალდებულებს ამას ან რომელიმე კომპეტენტური ორგანო დაავალდებულებს, მაგრამ მხარეები ვალდებული არიან შეძლებისდაგვარად გაიარონ კონსულტაცია ერთმანეთთან აღნიშნული გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით.

უფლებებისგან განთავისუფლება და კომპრომისი: ნებისმიერი მხარე შესაძლოა განთავისუფლდეს ვალდებულებისგან მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად, ან მიანიჭოს დრო ან სხვა უფლებები მეორე მხარეს სხვა მხარის ვალდებულებებზე გავლენის მოხდენის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამოდენიმე, მაგრამ არა ყველა მხარის ვალდებულება არის მოხსნილი, მეორე მხარე ვალდებულია განაგრძოს თავისი ვალდებულებების შესრულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარდა ამისა, მეორე მხარეს არ ენიჭება უფლებამოსილება აინაზრაუროს რაიმე თანხა მესამე მხარისგან, რომელიც განთავისუფლდა ვალდებულებისაგან, რომელიც სხვა შემთხვევაში ვალდებული იქნებოდა აენაზრებინა ამ მხარისთვის აღნიშნული ვალდებულება.

შემდგომი დაზღვევა: ორივე მხარე ვალდებულია გასცეს გარანტია, რომ ნებისმიერი საჭირო მესამე მხარე, რომელსაც იგი აკონტროლებს, ვალდებულია გამოიყენოს თავის წარმომადგენელი და უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი მესამე საჭირო მხარე ვალდებულია შეასრულოს ყველა ისეთი დოკუმენტი და მოქმედება, რომელსაც რომელიმე მხარე ჩათვლის გონივრულად საჭიროდ წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, რათა განახორციელოს ამ ხელშეკრულების დებულებანი სრულად.

ასეთი მოთხოვნის საფუძველზე გაწეული ხარჯები უნდა გადაიხადოს მოთხოვნის განმცხადებელმა მხარემ.

შესაბამისი შესრულება: ყოველი პირი, რომელიც აწერს ხელს მხარის ნაცვლად, აცხადებს, რომ მას აქვს სრული უფლებამოსილება ამ მხარის მიერ მინჭებული, რათა შეასრულოს აღნიშნული ხელშეკრულება, რომ ყველა საჭირო მოქმედება განხორციელებულია ასეთი მხარის მიერ, რომ მხარე, რომლის ნაცვლადაც იგი დებს ამ ხელშეკრულებას, ფლობს უფლებამოსილებას, დადოს ეს

ხელშეკრულება და ყველა საჭირო ქმედება მიღებულია იმისთვის, რომ მიეცეს საშუალება ამ მხარეს კანონიერად დადოს აღნიშნული ხელშეკრულება.

მესამე პირები: თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ამ ხელშეკრულებით, მისი არც ერთი დებულება არ უნდა შესრულდეს იმ პირის მიერ, რომელიც არ არის მხარე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის დასტურად მხარეებმა შეადგინეს წინამდებარე დოკუმენტი მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 17 მარტს.

მამედ სულეიმნოვ /ხელოწერილია/ ბეჭედდასმულია/
დირექტორი: შპს „საიალი“

რენდელ დ.არლეტ /ხელოწერილია/ ბეჭედდასმულია/
“American Hospital Management“
პრეზიდენტი და უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

დანართი 1: AHMC-ის მომსახურების გაწევის სფერო (AHMC-ის მიერ წარმოსადგენი მომსახურება საავადმყოფოს პროექტის შესაბამის ეტაპებზე)

მეორე ფაზა: მშენებლობის მენეჯმენტის კონსულტირება

1. დიზაინის კანონიერება და მშენებლობის დოკუმენტაცია;
2. აღჭურვილობის ჩამონათვალის კანონიერება;
3. ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების შერჩევა (HIT);

მესამე ფაზა: ამოქმედებამდე ჩასატარებელი ოპერაციები და შემოწმება

1. განაწესების შემუშავება საბჭოსა და სამედიცინო პერსონალისთვის;
2. მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება;
3. ძირითადი საოპერაციო გუნდის თანამშრომლებით დაკომპლექტება;
4. ექიმებისა და ძირითადი თანამშრომლების დაქირავება;
5. საოპერაციო პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელება;
6. საქმის წარმოების დიზაინი და პროტოკოლის განხორციელება;
7. აღჭურვილობის დაგეგმვა, მომარაგება, ინსტალირება და წვრთნა;
8. ჯანდაცვის ინფორმაციული ტექნოლოგიების განხორციელება;
9. მომარაგების მეთოდების შემუშავება და განხორციელება;
10. ფინანსური კონტროლისა და ზომების შემოღება და განხორციელება;
11. საავადმყოფოს შემოწმება;

მეოთხე ფაზა: ადმინისტრირება და ოპერაციები

1. აღმასრულებელი მენეჯმენტი;
2. ყოველდღიური ბიზნეს ფუნქციონირების მენეჯმენტი;
3. ექიმების, ექთნებისა და საავადმყოფოს თანამშრომლების დაქირავება, წვრთნა და თანამდებობებზე განაწილება;
4. კლინიკური პროცედურებისა და სამედიცინო მკურნალობის საერთაშორისო რეჟიმების განხორციელება;
5. ხარისხის გაუმჯობესებისა და პატენტების უსაფრთხოების ჩარჩოების განხორციელება;
6. AHMC-ის საუკეთესო გამოცდილების ფინანსური და ოპერაციების მენეჯმენტის მომსახურების განხორციელება;

დანართი 2: ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ინდიკატორები

- იმისთვის, რომ შეფასდეს და გაიზომოს AHMC-ის მიერ სამუშაოს შესრულება, საბჭო დაეყრდნობა AHMC-ის მიერ გაფორმებულ ბიზნეს გეგმას, რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და საბოლოო (თვიური, წლიური და ა.შ.) ფინანსური შედეგების, რომელიც მისაღებია საბჭოსთვის და განხილულია AHMC-ის მიერ.
- ფინანსური მოდელი და EBITDA-ის მიღება. საშემოსავლო და სუფთა მოგება, რომელიც მითითებულია ბიზნეს გეგმაში, უნდა იყოს AHMC-ის მიერ სამუშაოების შესრულების შემოწმების საფუძველი.
- დამატებითი ინდიკატორები, როგორიცაა გამოყენების მაჩვენებლები, პაციენტთა კმაყოფილების დონე, „ერთიანი კომისიის აკრედიტაცია“, თანამშრომელთა ბრუნვის მაჩვენებლები და სხვა ინდიკატორები, რაც ქმნის AHMC-ის შეფასების ნაწილს და ყველა ინდიკატორი ერთად აღებული შეაფასებს მუშაობას. მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულების დანართს, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი სამუშაოს შესრულების ინდიკატორებს (API) და აღნიშნული ინდიკატორების მიღწევის პირობებს (დრო, პროცენტული მაჩვენებლები და ა.შ.).
- AHMC ვალდებულია უზრუნველყოს საავადმყოფოსთვის JCI აკრედიტაციის მოპოვება ფუნქციონირების დაწყებიდან 2 წლის შემდეგ;

დანართი 3: AHMC თანამშრომლები

AHMC-მ უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი პერსონალი:

AHMC-ის თანამშრომლები მეორე ფაზისთვის: პროექტის მართვის კონსულტირება

1. უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, უფროსი ოპერაციული ოფიცერი, უფროსი ექთანი და/ან ხარისხის მართვის პროექტების დირექტორი

AHMC-ის თანამშრომლები მესამე ფაზისთვის: ფუნქციონირების დაწყებამდე შესასრულებელი ოპერაციები და შემოწმება:

1. უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი;
2. უფროსი ოპერაციული ოფიცერი;
3. უფროსი ექთანი;
4. ხარისხის მართვის პროექტების დირექტორი
5. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც წარმოდგენილია თავი 11.5-ის შესაბამისად

AHMC-ის თანამშრომლები მეოთხე ფაზისთვის: ადმინისტრირება და ოპერაციები

1. უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი;
2. უფროსი ოპერაციული ოფიცერი;
3. უფროსი ექთანი;
4. ხარისხის მართვის პროექტების დირექტორი
5. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც წარმოდგენილია თავი 11.5-ის შესაბამისად

თბილისი ქუჩის 11.5-ის

დანართი 4

საბჭო

- 2.1. ფილიალს უნდა ჰყავდეს საბჭო, რომელიც შედგება ხუთი წევრისგან (შემდგომში წოდებული, როგორც „საბჭო“ და „დირექტორები“), რომლებსაც ნიშნავს დამკვეთი, მათგან სამი დირექტორი უნდა წარადგინოს დამკვეთმა. ერთი დირექტორი უნდა წარადგინოს AHMC-მ (წარდგენილი დირექტორი უნდა იყოს ფილიალის ხარისხის კონტროლის დირექტორი) და ერთი დირექტორი უნდა წარადგინოს „Wings and Freeman Capital“-მა #SA-SAYALI-12.11.2013-02 და #SA-SAYALI-12.11.2013-03 ხელშეკრულებების დადების შემდგომ დამკვეთსა და „Wings and Freeman Capital“-ს შორის. „Wings and Freeman Capital“-ის მიერ წარდგენილი დირექტორი შესაძლოა შეიცვალოს დამკვეთის მიერ OPIC-გან მიღებული სესხის სრულად დაფარვის შემდგომ. საბჭოს თავმჯდომარე ყოველთვის უნდა დაინიშნოს დამკვეთის მიერ წარდგენილი დირექტორებიდან. პირს (ან მის უფლებამონაცვლეს), რომელმაც წარადგინა დირექტორი, უფლება აქვს მოითხოვოს ამ დირექტორის ჩანაცვლება. დირექტორებს არ ეძლევათ რაიმე სახის შრომის ანაზღაურება ან სხვა კომპენსაცია დამკვეთის ან ფილიალისგან, თუ სხვა რამ არაა დადგენილი დამკვეთის მიერ მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით და თუ არაა შეთანხმებული მხარეთა შორის. მათ შორის ბონუსების ფორმით როგორც წილი საავადმყოფოს მიერ დაგროვებული წილიდან.
- 2.2. საბჭოს კრებაზე რაიმე გადაწყვეტილების მიღებისათვის ქვორუმი (მათ შორის განმეორებით კრებაზე) შეადგენს 3 დირექტორს, რომლებიც უნდა ესწრებოდნენ შესაბამისი საკითხის განხილვას.
- 2.3. უფროსმა აღმასრულებელმა ოფიცერმა დირექტორთა საბჭოს უნდა გაუგზავნოს ყველა დირექტორს შეტყობინება კრების მოწვევის შესახებ არა უგვიანეს 7 დღით ადრე, რომელიც უნდა გაიმართოს თვეში მინიმუმ ერთხელ. დირექტორთა რიგგარეშე კრებები შესაძლოა მოწვეულ იქნას უფროსი აღმასრულებელი დირექტორის მიერ, უფროსი ოპერატორი ოფიცრის და ერთ-ერთი დირექტორის მიერ 7 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ყოველი დირექტორი უნდა დეტალურად აღწერდეს დღის წესრიგში არსებულ საკითხებს, რომლიც უნდა განხილულ იქნას კრებაზე და მას თან უნდა ერთვოდეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც განხილვა კრებაზე. ყველა მხარე თანხმდება, რომ კრებაზე დაუშვებელია რაიმე სხვა საკითხის განხილვა გარდა იმ საკითხებისა, რაც მითითებულია შეტყობინებაში. ყველა ზემოთ აღნიშნული უფლება შესაძლოა არ განხორციელდეს მასზე ყველა დირექტორის მიერ წერილობითი უარის განცხადების საფუძველზე. ფილიალმა უნდა გაუგზავნოს ყველა დირექტორს კრების დასრულების შემდგომ უმოკლეს ვადაში კრების ოქმის ასლი.
- 2.4. საბჭოს კრებები შესაძლოა ჩატარდეს ტელეფონის ან ვიდეო კონფერენციის საშუალებით ან პირადი დასწერებით ყოველ ჯერზე წინასწარ განსაზღვრულ ადგილას. თუ შეუძლებელია კრებაზე პირადად დასწერა, დირექტორს შეუძლია მონაწილეობის მიღება და ხმის უფლების განხორციელება ტელეფონის ან სხვა საშუალებით იმ შემთხვევაში, თუ ყველა დამსწრე პირს შეუძლია მისი მოსმენა და დანახვა. საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება და მოქმედება შესაძლოა კანონიერად მიღებულ იქნას ერთხმად, წერილობით გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერის გზით ყველა დირექტორის მიერ კრების ჩატარების ნაცვლად.
- 2.5. ყველა კრება უნდა ჩატარდეს ინგლისურ ენაზე (ხოლო, თუ მოქმედი კანონი მოითხოვს, ან რომელიმე დირექტორის მოთხოვნაა, შესაძლოა იგი გადაითარგმნოს ქართულ ენაზე). და საბჭოს ყველა კრების ოქმი უნდა ხელმოწერილ იქნას ყველა დამსწრე დირექტორის მიერ და შენახულ იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე. ხელმოწერილი საბჭოს გადაწყვეტილება საჭიროა ფილიალის სახელით ხელშეკრულებების, ფინანსური დოკუმენტების (მათ შორის და არა მხოლოდ ჩეკების, გადახდის მოთხოვნა, საგადასახადო დავალება და სხვა დოკუმენტები და საბუთები, რომლებიც მიღებულია ან შედგენილია რომელიმე ფინანსური ინსტიტუტის მიერ) და ყველა სხვა სახის დოკუმენტებისა და საავადმყოფოს მიერ შესასრულებლად სავალდებულო

საბუთების გაფორმებისათვის, რომელთა ღირებულება აჭარბებს 200.000 ლარს ყველა საჭირო გადასახადის ჩათვლით.

- 2.6. საბჭოს აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც ჩამოთვლილია „საბჭოს განსახილველ საკითხებში“ და ეს საკითხები, თუ სხვა რაიმე არ გადაწყდება დამკვეთის მიერ და იქნება შეთანხმებული მხარეთა შორის, ყოველთვის უნდა იყოს გონივრული, უნდა შედიოდეს საბჭოს ექსკლუზიურ კომპეტენციაში. საბჭოს გადაწყვეტილებანი უნდა დამტკიცდეს ყველა დამსწრე დირექტორის უბრალო უმრავლესობით. საბჭოს ყველა წევრს აქვს თითო ხმა, გარდა ამისა, საბჭოს აქვს უფლებამოსილება შეასრულოს და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა უფლება, რომელიც უნდა განხორციელდეს ფილიალის თანამშრომლის ან წარმომადგენლის მიერ.
- 2.7. საბჭოს თავმჯდომარე ინიშნება კლიენტის მიერ იმ დირექტორებიდან, რომლებიც წარადგინა დამკვეთმა. თუ რომელიმე კრებას არ ესწრება თავმჯდომარე, ნებისმიერი სხვა დირექტორი, რომელიც წარადგინა დამკვეთმა და ესწრება აღნიშნულ კრებას, უნდა მოქმედებდეს თავმჯდომარის სახელით ამ კონკრეტულ კრებაზე.

საბჭოს მიერ განსახორციელებელი საკითხები

- ა) საავადმყოფოს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება;
- ბ) უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის, უფროსი ოპერატორი ოფიცრის, მთავარი ექიმის, უფროსი ექთნის, უფროსი ფინანსური ოფიცრის, ადამიანური რესურსების მენეჯერისა და მომარაგების მენეჯერის დანიშვნა და განთავისუფლება ფილიალში, მათი შრომის ანაზღაურების განსაზღვრა და დადგენა, წამახალისებელი ან დამსჯელი ღონისძიებების გატარება თანამშრომლებისადმი.
- გ) კაპიტალდაბანდებითი ხასიათის ხარჯების გადახდის მექანიზმის განსაზღვრა და მისი წესების დადგენა.
- დ) პერსონალის გადამზადების გეგმებისა და ცხრილების დამტკიცება;
- ე) საავადმყოფოს საფასო სტრატეგიის განსაზღვრა მისი გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით;
- ვ) გამყიდველთა გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრა და გამყიდველთა მრავალფეროვნების ასევე საავადმყოფოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.
- ზ) საავადმყოფოს აქტივებზე რაიმე სახის დატვირთვისა და ვალდებულებების აღების ან არსებობის დაშვება და დამტკიცება (გარდა ვალისა, რომელიც წარმოიშობა კანონის მოქმედების შედეგად ან უფლების შეწყვეტის ხელშეკრულებისას ყოველდღიურ საქმიანობაში);
- თ) რაიმე თანხის სესხად აღების ან ნებისმიერი წინასწარი ან საკრედიტო ნებისმიერი ფორმის თანხის აღების დადასტურება (რომელიც უნდა მოიცავდეს ნებისმიერ ტრანზაქციას, რომელსაც აქვს იგივე კომერციული ეფექტი, რაც რაიმე თანხის სესხებას ან წინასწარი თანხის ან კრედიტის მიღებას.
- ი) რაიმე სახის ქონების შეძენის ან მასზე გირავნობის ან რაიმე პროცენტის დამტკიცება.
- კ) ფილიალის ქონების გაყიდვის, გადაცემის, გაგირავების, ლიცენზირების ან სხვა სახით განკარგვის ოპერაციის დადასტურება (გარდა ყოველდღიური საქმიანობისა) ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესრულება თავისი სხვა აქტივების ან მასზე პროცენტის საშუალებით.
- ლ) ფილიალის ბანკირების ან რეგისტრირებული ოფისების შეცვლის დადასტურება.
- მ) ნებისმიერი საჩივრის, უარყოფის, დათმობის, მატერიალური ბუნების თანხმობის არჩევის დადასტურება საგადასახადო მიზნებისათვის.
- ნ) ყველა საჭირო ანგარიშგების გაკონტროლება და მართვა (ფინანსური და ოპერაციული ანგარიშები).
- ო) კორპორატიული მმართველობის კოდექსის შესრულებაზე კონტროლი და მისი მოწონება ბიუჯეტთან, მიწოდებასთან, სამუშაოს ანაზღაურებასთან და ეთიკასთან მიმართებაში.
- პ) მომსახურების ხელშეკრულების დადების დადასტურება ნებისმიერ თანამშრომელთან, რომელიც ვერ შეწყდება კომპენსაციის გადაუხდელობის გარეშე 3 თვეზე მეტი ხნის შეტყობინებით.

- ჟ) თანამშრომელთა საპენსიო ვალდებულებების ძალაში შევლის ან ნებისმიერ ასეთ საპენსიო ვალდებულებაში ცვლილებების შეტანის დადასტურება;
- რ) ნებისმიერი გარანტიის, უზრუნველყოფისა და დაზღვევის დადასტურება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის წინაშე;
- ს) ნებისმიერ ქირავნობის, იჯარის, შესყიდვის ან მსგავსი ხელშეკრულების დადების დადასტურება 12 თვეზე მეტი ვადით და იმ შემთხვევაში, თუ ქირის საერთო ღირებულება ამ პერიოდში აჭარბებს 200.000 ლარს.
- ტ) ნებისმიერი მატერიალური ხელშეკრულების ან ურთიერთობის დადების ან შეწყვეტის დადასტურება, რომელიც არ შედის მის ყოველდღიური და განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში, ან ეხება განსაკუთრებულ შემთხვევას ან გრძელვადიან პერიოდს, ასევე, არსებით ცვლილებებს ნებისმიერ მნიშვნელოვან ხელშეკრულებაში, რომლის მხარეც არის ის;
- უ) ნებისმიერი სამართლებრივი ან საარბიტრაჟო საქმის წარმოების ან სხვა დავის მოგვარების, ადმინისტრაციულ იურიდიულ საქმის წარმოებაში ფილიალის ჩართვის დადასტურება (მათ შორის და არა მხოლოდ აღმრას, წარადგინოს, დაასრულოს მოგვარებით და განახორციელოს სხვა პროცედურული საქმიანობები) რომლის შედეგად პოტენციური ვალდებულება აღემატება 200,000 ლარს.
- ფ) ფილიალის ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების, ვადის გაგრძელების, შეჩერების, ჩაბარების ან შეცვლის დადასტურება;
- ქ) ფილიალის მენეჯერების მიერ მომზადებული ყოველწლიური ან სხვა პერიოდისთვის ბიზნეს, საინვესტიციო ან ფინანსური გეგმების შეთანხმება და განხორციელება;

/ხელმოწერილია/ /დამოწმებულია შპს „საიალი“-ის ბეჭდით/

/ხელმოწერილია/ /დამოწმებულია AHMC ბეჭდით/

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.

თარჯიმანი: *მ. შიშაძე*

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის ცხრამეტ თებერვალს მე, მეგი მაღალდაძე, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19 მომმართა ქ-ნმა თამთა ქუსიკაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ქ-ნმა თამთა ქუსიკაშვილმა (დაბ: 21.07.1988 წ. ქ. თბილისში. მცხ: თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. კორპ. 5ა, ბინა #13; პ/ნ #14001008602; ბარათის ნომერი: 13IE29713) მომმართა.

აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შევამოწმე ის ფაქტი, რომ იგი ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას, თანახმად სერტიფიკატისა: გაცემული „გლობალ ამერიკულ-ბრიტანული ცენტრის“ მიერ, ნომერი: 53).

თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა დოკუმენტზე, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

გადახდილია საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე 52,00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2,00 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.დ.გ. 9,36 ლარი, ჯამში: 65,36 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

GEORGIA
NOTARY ACTION

On this 19th day of February, two thousand fifteen, before me, Megi Magaldadze, Notary of Georgia, in my notary office located at the address: c. Tbilisi, #19 K. Marjanishvili personally appeared **Ms. Tamta Kusikashvili**, who represented document translated from English into Georgian language and declared that she wants to notarize/witness her signature on the translation.

I checked up her identity and ascertained that through description of the identity card submitted by her, she is - **Tamta Kusikashvili** (born on: 21.07.1988 in Tbilisi, residing at: building 5-a, Apt. 13, D. Guramishvili Ave., Tbilisi; Personal Number: 14001008602, ID card number: 13IE29713).

Her legal capacity has been duly established. I also checked the fact that she properly knows English language according to the Certificate: issued by Global-American British Centre on 08.11.2012, N53.

Then I warned the translator on responsibility caused by incorrect translation, she acknowledged that the translate she properly knows English language and undertakes responsibility for accuracy of translation. Whereupon in my presence she personally set her signature to the document attached to this Notary Action.

Fee with the amount of 52,00 GEL is paid pursuant to art. 31, 2,00 GEL pursuant to art. 39 of Decree № 507 of the Government of Georgia concerning “Fee for Execution Notarial Acts” and 9,36 GEL – VAT pursuant to art. 169 of the Tax Code of Georgia, totally 65,36 GEL.

საქართველოს ნოტარიუსი:
Notary of Georgia:



მეგი მაღალდაძე
MEGI MAGALDADZE

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N150160143



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

19.02.2015 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

მეგი მაღალდაძე

სანოტარო ბიუროს
მისამართი

თბილისი, ვ. მარჯანიშვილის ქუჩა N19

სანოტარო ბიუროს
ტელეფონი

2967042

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

60712416891915



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის
და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის
ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19
18

Handwritten signature